ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 20 ივლისი, 2020 №153 (8417) ფასი: 60 თეთრი

ანი გაბელაია: „ჩემი ცხოვრებაც დამთავრდა, როგორც გიორგისი“

გვ.5

„შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე, შესაძლოა, ახალი პირები დააკავონ“



ნიკოლოზ მჟავანაძე: „რა ნახალოვკა და რა საბურთალო, ხალხო! ტერიტორიები წაგვართვეს და იმათ დაჩაგვრაზე არაფერს ამბობთ!“

გვ.2

„ოქრუაშვილის მართლა ასე ეშინიათ?“

გვ.2

სოსო ცინცაძე: „ბიძინა „ოცნების“ მთავარსარდლის რეზერვია, თუ არჩევნებში ჩაერთო ე. ი. სხვა შანსი არ აქვს“

გიგლა ბარამიძე: „თუ ხელისუფლება გონს არ მოვა, 2003 წელს მიიღებს“



გვ.3

„სამჯერ მეტად დეპუტატად არჩევა უნდა აიკრძალოს“

ვახტანგ ძაბირაძე: „ოცნება“, ნაციონალების გარდა, ყველას დაელაპარაკება“

გვ.4

„რამდენჯერაც იტყვიან, სააკაშვილი დაბრუნდებაო, „ქართულ ოცნებას“ თავისივე ხელით იმდენ ხმას დაუმატებენ“

შსს-ს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ დოკუმენტების ინსპექტირების აღჭურვილობა გადასცა

გვ.5

ISSN 1987-9385

2 ვინ იქნებიან „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები

4 ამირან სალუქვაძე: „რუსეთი საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის ძალიან საშიში ქვეყანაა“

5 პოლიციამ მარგველაშვილის სიძე მინდია გოგოჭური დააკავა

6 ბაქო ერევანს მეცამორის ატომურ ელექტროსადგურზე დარტყმით დაემუქრა

„ოქრუაშვილის მართლა ასე ეშინიათ?“

სოსო ცინცაძე: „ბიძინა „ოცნების“ მთავარსარდლის რეზერვია. თუ არჩევნებში ჩაერთო, ე.ი. სხვა შანსი არ აქვს“

იაგო ნაცვლიშვილი

„ედისონ რისერჩის“ კვლევებით, „ქართულ ოცნებას“ 39% აქვს, ნაციონალურ მოძრაობას – 16%, ხოლო 20% გადაუწყვეტელია. ამავე კვლევით, საკმაოდ მაღალი მოწონების რეიტინგი აქვს გიორგი გახარიასაც, რაც გარკვეულ გაოცებას იწვევს, რადგან გახარია 2019 წლის 20 ივნისის აქციის დარბევის შემდეგ ნეგატიურ პერსონად იყო მიჩნეული ქართულ პოლიტიკაში.

რას ამბობს კვლევა, გამოჩნდა თუ არა, რომ ოპოზიციას წინასაარჩევნოდ სერიოზული სამუშაო აქვს ჩასატარებელი, ჩანს თუ არა ქარიზმატული ლიდერების პრობლემა ქართულ პოლიტიკაში, რა როლი ექნებათ საარჩევნო კამპანიაში მიხეილ სააკაშვილსა და ბიძინა ივანიშვილს და რას ნიშნავს ირაკლი ოქრუაშვილის მორიგი სასამართლოს წარმართვა? – ამ და სხვა აქტუალური საკითხების შესახებ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე საუბრობს.

– გამოქვეყნდა „ედისონ რისერჩის“ კვლევები. იმის მიუხედავად, რომ მწვავედ აკრიტიკებენ „ქართულ ოცნებას“ და ბევრი რამე უარესდება ქვეყანაში, მაინც ინარჩუნებს ლიდერობას. თუ დავუმატებთ არჩევნებზე ადმინისტრაციულ რესურსს, ქუჩის ჩართულობასა და ა.შ. შესაძლოა, სულაც უმრავლესობით მოგვევლინონ. მოსალოდნელი იყო თქვენთვის ასეთი შედეგები?

– თუ რაღაც ექსტრაორდინარული არ მოხდა 2-3 თვეში, არა მგონია, უმრავლესობით მოვიდეს, მაგრამ აქ ერთი მომენტია, რომელსაც ჩვენი დასავლელი პარტნიორები ვერ გაგვიგებენ. ჩვენთან, ისე, როგორც პოსტსაბჭოთა სივრცის თითქმის ყველა ქვეყანაში, განსხვავებულად აღიქმება მმართველი პარტიის შეცვლა. მმართველი პარტიის შექმნა აშშ-სა და ევროპაში ნიშნავს რამდენიმე ასეული მაღალი თანამდებობის ჩინოვნიკის შეცვლას, ჩვენთან კი ეს ნიშნავს 150.000-მდე ადამიანის შეცვლას, რასაც ჩვენ ადმინისტრაციულ რესურსს ვეძახით.

დასავლეთში არც ერთ მმართველ პარტიას ჯიბეში არ უდევს ბიუროკრატიული ხმები. ჩვენთან ყველა მმართველ პარტიას ჯიბეში უდევს. ასე იყო შევარდნაძის დროს, სააკაშვილის დროს და ასეა დღესაც. ყველამ იცის პრაქტიკიდან გამომდინარე, რომ მოდის ახალი პარტია და მას

შლეიფად მოჰყვება ათიათასობით უმუშევარი ადამიანი. 2012 წელს დავიწყეთ ველურობა, მით უმეტეს – პროვინციებში, კარის აჭედვა და ა.შ. ჩემთვის ამაზრზენი იყო მანანა კობახიძე, რომელიც ნიანგის ცრემლებს ღვრიდა, რა ვქნათ, ჩვენ არ მოგვწონს ეს, მაგრამ ამ ხალხს უნდა გავუგოთ, ვინაიდან ხალხი გაბოროტებულიაო. გაბოროტებულები იმით იყვნენ, რომ ხელფასები უნდოდათ.

გამოვიდა მამუკა მდინარაძე და გაიძახის, 55%-ს ვეთამაშებითო. ეს ნიშნავს, რომ მისხალ-მისხალ აქვთ დათვლილი, რამდენი ჩინოვნიკია, რამდენი იმათი ოჯახის წევრია და რამდენი მათი ახლობელი.

– ქუჩის ჩართვას კიდევ უფრო დიდი დოზით ხომ არ ელოდებით, ვიდრე თუნდაც 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ვნახეთ?

– ბოლო სკანდალები, განსაკუთრებით შაქარაშვილის საქმის სკანდალი, ძირითადად ნეგატიურ შედეგს იძლევა კუნთმაგარი ბიჭების ჩართულობასთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებით რელიეფურად საპრეზიდენტო არჩევნების დროს გამოჩნდა დაუფარავად და ცინიკურად. კორცხელის შემდეგ აღარავის აქვს შიში.

კიდევ ერთი ფენომენია, რომ, სამწუხაროდ, საქართველოში ქრება მოწმის ინსტიტუტი და მას არანაირი ფასი აღარ აქვს. მოწმეს უკვე რამდენჯერაც გინდა, იმდენჯერ გადააბრუნებ. არის შანტაჟი, მოსყიდვა, არ გინდა, ბიჭო, ქუჩაში გამოსვლა და ა.შ.

რაც შეეხება მმართველი პარტიის პასივს, დასავლეთში, პირველ რიგში კი აშშ-ში, როგორც ჩანს, ჩათვალეს, რომ ორი ვადა საკმარისია. ადრეც ვთქვი თქვენთან ინტერვიუში, რომ თეთრი სახლისათვის ორგანულად მიუღებელია მესამე ვადა. რუზველტი იყო ოთხი ვადით, მაგრამ მას თავისი ობიექტური ახსნა ჰქონდა.

ამას ერთვის პრეტენზიები. არ მესმის, რატომ სჭირდებათ ის, რომ ევროპაც და ამერიკაც სიტყვის თავისუფლებას ქადაგებენ და ამ დროს იღებენ კანონს, რომელიც, მედიის წარმომადგენლებისა და სამოქალაქო აქტივისტების თქმით, ზღუდავს პრესის თავისუფლებას და შემოაქვს მმართველის ინსტიტუტი. რასაც ნიშნავს ეს, ყველამ ვიცით. ეს ნიშნავს იმას, რომ გააკოტროს ეს ორგანიზაცია და შემდეგ, როგორც უნდათ, ისე მოიქცნენ.

– ხომ არ არის ეს რუსული მანიპულაციების გზა და ხომ არ ელოდებით მსგავს რუსულ მეთოდებს კიდევ?

– მანიპულაციაა, მაგრამ მდინარაძემ რაც არ უნდა იყოყოჩოს, მმართველ პარტიაშიც არის სერიოზული ხალხი, რომლებსაც ორი სახე აქვთ – ერთია, როცა კამერებთან ლაპარაკობენ და მეორე – როდესაც დახურულ კარში, ვიწრო წრეში საუბრობენ, მაშინ როდესაც მობილური ყველას გამორთული აქვთ.

– ოქრუაშვილის პარტიას 1% აქვს კვლევებში და ასე ეშინიათ ოქრუაშვილის, რომ მორიგ სასამართლოს იწყებენ?

– მეც მაქვს ეს კითხვა, რაში სჭირდებათ ეს?! ან ის კანონი რაში სჭირდებოდათ, რომელიც უკავშირდება მარეგულირებელს და გაკეთდა კახა ბექაურის ინიციატივით?! შეიძლება, მართალი არიან ბექაურიც და გახარიაც, როცა ამბობენ, რომ იქ დიდი უწესრიგობაა. ათეულობით მილიარდ ვალს არ აბრუნებენ.

– რა ფენომენია ოქრუაშვილთან დაკავშირებით? ეშინია ივანიშვილს ოქრუაშვილის?

– არ ვიცი, ვის ეშინია და ვის – არა, მაგრამ, პიროვნული ფაქტორი რომ პრევალირებს, ფაქტია.

– შურისძიებაა?

– მათ შორის შურისძიებაც. იმავე იმ კანონით 8 წელი იცხოვრეს და ორ თვეს ვეღარ ითმენენ?! თუ დარწმუნებული ხართ გამარჯვებაში, 2 თვე მოითმინეთ და მერე მიიღეთ ის კანონი. იგივე ოქრუაშვილი არჩევნების მერე გაასამართლეთ. ვინმე გიშლით?!

– დასავლეთის მხრიდან რეაქციები არ მოჰყვება?

– რასაკვირველია, იმიტომ, რომ იგივე ელჩები რომ ასე შეიკრიბნენ, არაერთხელ იმუშავეს შეთანხმებაზე. გარდა მაგისა, ჩვენ ხომ არ ვიცით, კულისებს მიღმა რა ტონალობითა და არგუმენტებით ესაუბრებოდნენ ხელისუფლებისა და ოპოზიციის ლიდერებს?! ჩვენ ვუსმენდით გაღიმებულ და თავაზიან კილოს, მაგრამ, ეჭვი არ მეპარება, რომ კოპებშეკრული კილოც იყო, ცოტა რბილი მუქარაც და დიპლომატიური ზეწოლაც.

2 თვე გავიდა, რაც ოქრუაშვილი გამოუშვეს და კიდევ პროცესი იწყება. მართლა ასე ეშინიათ მისი თუ პირადულობაზეა აგებული ყველაფერი?! ეს გაუგებარია.

– ფაქტია, რომ ოპოზიციასაც აქვს სერიოზული სამუშაო წინასაარჩევნო კამპანიაში. თუ ხედავთ ლიდერებს, რომლებსაც შეუძლიათ, ხალხი გამოიყვანონ?

– თუ ვინმეს სამუშაო აქვს, ეს ოპოზიციაა. რაც შეეხება ქარიზმას, ასეთი ლიდერები არ ჰყავს. საქართველოს ქარიზმატული ლიდერები არასდროს აკლდა. ჯერ იყო გამსახურდია, გაგრძელებული შევარდნაძით და მიშათი დამთავრებული. დღეს საერთოდ მოშიშვლებულია ეს სფერო. არანაირი ქარიზმატული ლიდერი არ არის. ივანიშვილს რამდენად ჰქონდა ქარიზმა, არ ვიცი, რადგან არ გამოუვლენია, მაგრამ ნდობა ძალიან დიდი ჰქონდა. დღეს უკვე ისიც აღარ არის.

– ამ ფონზე ხომ არ გახდება საჭირო სააკაშვილის ჩართულობა, თუნდაც უკრაინიდან, რომ მან წამოიყვანოს ამომრჩეველი თავისი ქარიზმით?

– არა. ეგ პრაქტიკულადაც, პოლიტტექნოლოგიურადაც და მეცნიერული არგუმენტაციითაც შეუძლებელია, მაგრამ გამონაკლისები ყველგან ხდება და არაფრის თქმა არ შეიძლება გადაწყვეტილად. 8-9 წელი ძალიან დიდი დროა იმისათვის, რომ თუ ქვეყანაში არ ხარ, ნელ-ნელა ის ქარიზმა და პეწი დაკარგო, რომელიც გქონდა.

– საერთოდ თუ ელოდებით ბიძინასა და მიშას ჩართულობას და მათ დუელს საარჩევნო პროცესში?

გაგრძელება მე-3 გვერდზე

„შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე, შესაძლოა, ახალი პირები დააკავონ“

ნიკოლოზ მჟავანაძე: „რა ნახალოვკა და რა საბურთალო, ხალხო! ტერიტორიები წაგვართვეს და იმათ დაჩაგვრაზე არაფერს ამბობთ!“

ნონა ცაბაძე

გიორგი შაქარაშვილის მკვლელობის საქმე კვლავ საზოგადოების ყურადღების ცენტრშია. „ახალი თაობის“ კითხვებს უფლებადამცველთა ასოციაციის თავმჯდომარე ნიკოლოზ მჟავანაძე პასუხობს.

– ბატონო ნიკოლოზ, გიორგი შაქარაშვილის მკვლელობიდან ერთი თვე გავიდა. გამოძიებასთან დაკავშირებით კითხვა ბევრია. როგორც უფლებადამცველი, როგორ აფასებთ ამ საქმეს?

– თუ გადავხედავთ ბოლოდროინდელ გახმაურებულ საქმეებს, იმავე ხორავას ქუჩის საქმეს, ლუკა სირაძის საქმეს, ამ საქმეებთან შედარებით, შაქარაშვილის საქმეში გაცილებით სხვა სიტუაციაა.

– სხვა სიტუაციაში რას გულისხმობთ?

– იქ მფარველები იკვეთებოდნენ და გარკვეული კითხვის ნიშნები იყო. ამ საქმეებთან შედარებით, შაქარაშვილის საქმეში ყველა ის უშუალო პირი, ვინც მონაწილეობდა, ჯერჯერობით დაპატიმრებულია. აქ გამოსაკვეთია, ამ 17 ადამიანიდან ეს დანაშაული ვინ ჩაიდინა.

– ფიქრობთ, რომ დანაშაულში მონაწილე ყველა პირი დაკავებულია?

– შეიძლება, კიდევ გამოიკვეთონ დამნაშავე პირები. ეს გამოძიების ტაქტიკაც არის. როდესაც გარკვეული საგამოძიებო და ოპერატიული მოქმედებები ტარდება, არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ კიდევ დაემატონ მონაწილე პირები. ვისაც რაიმე შემხებლობა ჰქონდა ამ საქმესთან და გამოძიებას ჰქონდა ამაზე ინფორმაცია, ყველა პირი დაკავებულია.

ეს საქმე რომ სააკაშვილის ან შევარდნაძის დროს ყოფილიყო, შესაძლოა, ვიღაცას უკვე აღიარებული ჰქონოდა დანაშაული. ვიცით, თუ როგორი დამუშავება ხდებოდა. დღეს ისმის პრეტენზიები, რატომ არ გამოიკვეთა დამნაშავეო! რა ქნას გამოძიებამ, ძალით ხომ არ აღიარებინებს!

– ყველა ჩუმად არის...

– მაქსიმალურად ყველა დააკავეს. ხომ არ სცემენ და ძალით ხომ არ მიაცემინებენ აღიარებით ჩვენებას! მე ვფიქრობ, ესენი ძალიან მალე დაიწყებენ ლაპარაკს.

– რატომ ფიქრობთ ასე?

– ილუზიები ჰქონდათ, რომ გამოძვრებოდნენ. ახლა რომ გავიდა დრო და დაინახეს, საქმე არ ჩაიფარცხება, ყველა დაიწყებს ლაპარაკს. უკვე ვნახეთ, რომ ვიღაცები ამხილეს, ახალი ინფორმაცია მიაწოდეს გამოძიებას. საკმარისია, ერთმა კაცმა ამხილოს და მერე ყველა დაიწყებს ლაპარაკს. დარწმუნებული ვარ, ბევრმა უფრო მეტი რამ იცის, ვიდრე ამბობს, თუნდაც ის ანა გაბეჩავა, რომელმაც ინტერვიუ მისცა. ეს გოგო ბევრს იტყუება.

– ასე რატომ ფიქრობთ?

– გაცილებით მეტი იცის და ვითომ არაფერი იცის. ყველა ამბობს, რომ არაფერი იცის, ვითომ შაქარაშვილი თავისით მივიდა იმ დაბადების დღეზე. ის, რომ ეს გოგო იტყუებოდა, ფაქტია. კაცმა არ იცის, შეიძლება, მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს საბოლოოდ!

– რასთან დაკავშირებით?

– დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის. როგორ, მას არ ჰქონდა ვალდებულება, შეეტყობინებინა პოლიციისთვის?! დაერეკა 112-ში?! თუ შეუტყობინებლობაზე ზის ზოგიერთი, შესაძლოა, მასაც შეედავონ ამაზე. ფოტოგრაფზე რომ არის ატეხილი ერთი ამბავი, ეს ფოტოგრაფი რომ მკვლელი არ არის, ცხადზე უცხადესია. ამ ფოტოგრაფის მიმართ ისმის კითხვები, რომ იტყუება...

– რაღაცას მალავს და წაშალა ფოტოებიო...

– არავინ იცის, ვინ რას მალავს. შეიძლება, მეც რაღაცა ეჭვები მაქვს, რომ ვიღაცა გულწრფელი არ არის, მაგრამ ასე ხელაღებით რაღაცის დაბრალება არ შეიძლება. ჩვენ დავინახეთ, რომ ბევრი ცნობილი ჟურნალისტი და ოდიოზური ფიგურა მიწაში დებდა კონკრეტულ პირებს, მერე კი გამოვიდნენ და ბოდიში, ასე არ ყოფილაო. არ შეიძლება ასეთი განცხადებების კეთება. ახლა ბიძას გადაეკიდნენ, თითქოს მირიან ნიკოლაძე

გაგრძელება მე-3 გვერდზე

რესან კონცელიძე, ზაალ მიქელაძე, ანზორ ბოლქვაძე

ვინ იქნებიან „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატები

ვინ დაუპირისპირდება ოპოზიციას რეგიონებში – „ქართული ოცნება“ მაჟორიტარების კანდიდატებს დღეს, 20 ივლისს, დაასახელებს, თუმცა მანამდე „მთავარი არხისთვის“ ცნობილი გახდა ივანიშვილის გუნდის კანდიდატების ვინაობა რამდენიმე რეგიონში.

აჭარის სამი ოლქიდან, ბათუმში იბრძოლებს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე რესან კონცელიძე, ქობულეთში აჭარის ჯანდაცვის ყოფილი მინისტრი ზაალ მიქელაძე, ხელვაჩაური-ქედა-შუა ხულოში „ოცნებას“ წარმოადგენს მოქმედი მაჟორიტარი ანზორ ბოლქვაძე. ბოლქვაძე უკვე 12 წელიწადია, რაც მაჟორიტარი დეპუტატია საქართველოს პარლამენტში.

ასევე სამ ოლქად დაყოფილ სამეგრელოში „მთავარისთვის“ ცნობილი გახდნენ ორი ოლქის კანდიდატები, კერძოდ, ზუგდიდში – სამეგრელოს სახელმწიფო რწმუნებული ალექსანდრე მოწერელია და ფოთის, ხობისა და სენაკის ოლქში – მოქმედი მაჟორიტარი ირაკლი ხახუბია.

რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის ოლქში მმართველი გუნდიდან იბრძოლებს მოქმედი მაჟორიტარი გოჩა ენუქიძე. გურიის ოლქში „ოცნებას“ ასევე მოქმედი მაჟორიტარი ნინო წილოსანი წარმოადგენს.

სამცხე-ჯავახეთის ორი ოლქიდან „მთავარისთვის“ ცნობილია ერთი კანდიდატი, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში „ოცნება“ ენზელ მკოიანს დაასახელებს.

კახეთის ორი ოლქიდან, გურჯაანის, საგარეჯოსა და დედოფლისწყაროში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატ ლევან ბეჟუაშვილს ოპონირებას მოქმედი მაჟორიტარი დავით სონღულაშვილი გაუწევს, ხოლო თელავი-ახმეტა-ყვარელი-ლაგოდეხის ოლქში ან თავდაცვის კომიტეტის ხელმძღვანელი ირაკლი სესიაშვილი იბრძოლებს, ან პარლამენტის საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გურამ მაჭარაშვილი.

მცხეთა-მთიანეთის „ოცნება“ კვლავ დიმიტრი ხუნდაძეს დააყენებს. რომ იგი ორი მოწვევის მაჟორიტარია. თუმცა ხუნდაძე ჯერჯერობით ამ ინფორმაციას არ ადასტურებს და ამბობს, რომ ამჯერად პარტიის პროპორციულ სიაში იქნება.

ზესტაფონში, ბაღდათში, ტყიბულსა და თერჯოლაში მაჟორიტარული კანდიდატი „ქართული ოცნებიდან“ იქნება ბეჟან ნაქაძე.

არსებული ინფორმაციით, გლდანში „ქართული ოცნება“ ლევან კობიაშვილს წარადგენს;

სამგორში – სოზარ სუბარს; ისანში – ირაკლი აბუსერიძეს; საბურთალოზე – დავით სერგეენკოს; ვაკეში – ნოდარ ტურძელაძეს; ნაძალადევში -თეა წულუკიანს.

დიდუბე/ჩუღურეთში აქტიური მსჯელობა 2 კანდიდატზე მიმდინარეობს – გიორგი ვოლსკისა და ილია წულაიას შესახებ.

მთაწმინდა/კრწანისის ოლქზე ჯერ ინფორმაცია არ გავრცელებულა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

გიგლა ბარამიძე: „თუ ხელისუფლება გონს არ მოვა, 2003 წელს მიიღებს“

„სამჯერ მეტად დეპუტატად არჩევა უნდა აიკრძალოს“

მარიამ მჭედლიშვილი

არჩევნებამდე სამ თვეზე ცოტა მეტი დარჩა. საარჩევნო ციებ-ცხელება არ იგრძნობა. არჩევნებზე ხელისუფლება და ოპოზიცია ხალხთან შეხვედრებსა და განცხადებების დროს საუბრობენ. რა სიტუაციაა ქვეყანაში? რას იყენებს თავის სასარგებლოდ მმართველი პარტია? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ გენერალურ მდივან გიგლა ბარამიძეს.

– ქართველი ანალიტიკოსების აზრით, ხელისუფლებაც და ოპოზიციაც წინასაარჩევნოდ შიშით აპელირებენ. მაგალითად, „ქართული ოცნება“ ხალხს არწმუნებს, რომ საშიში კორონავირუსისგან ერთადერთი გადამრჩენელია, ოპოზიცია კი ამომრჩეველს ეკონომიკურ ვარდნასა და შიმშილზე უმახვილებს ყურადღებას. თქვენ რას იტყვით?

– სხვა ოპოზიციური ძალების მაგივრად ვერაფერს ვიტყვი. მათ მაგივრად ვერ ვილაპარაკებ. ჩვენი ორგანიზაციის „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი საქართველო – დემოკრატიული მოძრაობის“ სახელით შემიძლია, გესაუბროთ. ჩვენ იმით გამოვირჩევით, რომ ნიშნს არასდროს არავის ვუგებთ, მათ შორის, არც ხელისუფლებას, არც საზოგადოებას ვზაფრავთ.

– გინდათ თქვათ, რომ თქვენ ხალხს მოახლოებული შიმშილით არ აშინებთ?

– ნამდვილად არ ვაშინებთ. აპოკალიფსური სურათების დახატვაც არ გვახასიათებს. ასეთ სურათს არც ახლა ვხატავთ. ვცდილობთ, ყოველთვის რეალობა ავსახოთ და, მივიღებთ თუ არა ამისათვის ქულებს, ამას მნიშვნელობა არა აქვს. პოლიტიკოსებიც ვართ, მაგრამ ჩვენ, პირველ რიგში, ვართ მოქალაქეები და პატრიოტები. პოლიტიკოსობა ამას არ გამორიცხავს. ამიტომ მოვლენებს სახელმწიფოებრივად ვუდგებით. ხალხის დაშინება ჩვენი ამოცანა არ არის. პანდემიაზე შემიძლია ვთქვა, რომ საქართველოს ხელისუფლება ამოეფარა კორონავირუსს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა აქამდეც ისარგებლეს ამ ვითარებით და მომავლისთვისაც გაიხანგრძლივეს სასურველი მდგომარეობა.

– გულისხმობთ იმას, რომ ახლახან მიღებული კანონით, მთავრობას წლის ბოლომდე მიეცა შეზღუდვების დაწესების უფლება?

– დიახ. სულ იმის ტრაბახში არიან, თუ როგორ წარმატებით შეებრძოლნენ კორონავირუსს. ყველაფერს თუ ჩაკლავ და ჩაკეტავ, ეს რაღა წარმატებაა?! მთელი მსოფლიო ყველაფერს ხსნის და აბრუნებს. ჩვენც ეს უნდა გავაკეთოთ და ვისწავლოთ თანაცხოვრება კორონავირუსთან, სანამ ეს სენი დამარცხდება. ფრენები არ აღდგენილა. ბევრი რამე ისევ აკრძალული და ჩაკეტილია. ხელისუფლებამ კეთილი უნდა ინებოს და ამ სიტუაციაში გვაცხოვროს და გვამუშაოს! თვითონ ხელისუფლებას არაფერი მოუკლია. კომენდანტის საათის დროს ჩამოურიგეს საშვები თავიანთ ჩინოსნებს, ცოლებს, საყვარლებს. ისინი ჯიპებით დაქროდნენ თბილისის ქუჩებში იმ დროს, როცა ტაქსისტებსაც კი აკრძალული ჰქონდათ გადაადგილება.

– თქვენ კარანტინის დროს ხელისუფლებას არ აკრიტიკებდით.

– დიახ, მაგრამ ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს! ჩვენი პარტია პირველი იყო, რომელმაც ოპოზიციურ რეჟიმზე დროებით უარი თქვა და ხელისუფლების მიმართ ლოიალობა გამოხატა. ესეც გამოვაცხადეთ და ხელისუფლებას ანტიკრიზისული გეგმაც გავუშანშალეთ. არც პირველ განცხადებას მიაქციეს ყურადღება, არც გეგმა გაუზიარებიათ. გავიდა დრო. ჩვენზე ძლიერი ეკონომიკის ქვეყნებმაც კი გახსნეს ყველაფერი, ჩვენ კი არ გვეშველა. მთავრობას როცა მოუნდება, უფრო შეგვზღუდავს.

– ითვლება, რომ კორონავირუსის საწინააღმდეგო ზომებმა გაზარდა ხელისუფლების, ასევე, პირადად პრემიერ გახარიას რეიტინგი.

– კიდევ ვიტყვი, რომ ყველაფერს თუ ჩაკეტავ და ჩაკლავ, ეს გამარჯვება არ არის. ბოლო დროს პრემიერი გახარია უფრო მეტად იწონებს თავს და გასათხოვარი ქალივით დაიპრანჭება. საინტერესოა, რით ტრაბახობს? თუ ჰგონია, რომ თავის კრეტინულ გარემოცვას თუ სჯობია, წარმატებული და გამარჯვებულია? ახლა მის ხუშტურებზე უნდა იყოს დამოკიდებული ახალი კარანტინი? ჯერ საზღვრები არ გახსნილა, ფრენები არ აღდგენილა. ევროპა გვინდა ვიყოთო. რატომ ამაში არ ბაძავენ ევროპას?! ვინც დასაქმებული იყო, იმანაც დაკარგა სამუშაო. მათზე არ უნდა იზრუნონ? ეტყობა, ხალხზე არ ფიქრობენ. ჯერ კიდევ კორონავირუსამდე ივანიშვილმა გვითხრა, საქართველოში კიდევ 15-20 წელიწადი სამუშაოს ვერ იშოვით და უცხოეთში დასაქმდითო. კარანტინის დროს საერთოდ სახლებში ამოგვკეტეს. მთავრობას უფლება აქვს, როგორც უნდა, ისე შეგვზღუდოს. სხვაგან ხალხი გამოდის და პროტესტს გამოთქვამს.

– საქართველოში ხალხი შეზღუდვებს მშვიდად შეხვდა?

– რასაკვირველია. პარიზიდან დაწყებული, თელ-ავივით დამთავრებული, ყველგან ხალხის გამოსვლები იყო. ეს გამოსვლები გრძელდება. ჩვენ ყველაფერს კანონმორჩილად შევხვდით. ასე რომ, ხელისუფლება საკუთარი წარმატებით ნუ იბაქიბუქებს! ხელისუფლებამ უნდა შექმნას პირობები, რომ ადამიანებმა ამ სენის დამარცხებამდე კორონავირუსის პირობებში ვიღვაწოთ და თავისუფლად გადავადგილდეთ. ამაზე უნდა იფიქრონ და არა დენდროლოგიურ პარკზე! ყოველდღე აქებენ ამ დენდროლოგიურ პარკს. არავინ დავობს, რომ მისი შექმნა-გაფართოება კარგია, მაგრამ ამის დაყვედრებას პატრონყმური ელფერი დაჰკრავს.

– ასე, შეიძლება, დენიც დაგვაყვედრონ.

– ასე მგონია, საბოდიშოდ გვიხდიან საქმეს. უნდათ, მოვიბოდიშოთ, რომ ჩვენც გადავრჩით და პანდემიას მარტო ნაკლესტერი არ გადაურჩა. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები და მოხელეები ძალიან გაზულუქდნენ და გაღორდნენ. აღარ იციან, როგორ დახარჯონ უკანონო ტენდერებითა და სხვა არასწორი გზებით ნაშოვნი ფული.

– შეზღუდვები შეუშლის ხელს წინასაარჩევნო კამპანიას?

– ხელი აქამდე უკვე შეგვშალა. საგანგებო მდგომარეობის დროს ვერ ვინძრეოდით. ჩვენი პარტიის მიმართ ხელისშეშლა ფინანსებსაც უკავშირდება. 2016 წელს ამ ხელისუფლებამ ბიუჯეტიდან დაფინანსება გაგვინახევრა. მოგეხსენებათ, როგორ გვსჯიდა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლება. „ქართულმა ოცნებამ“ დაფინანსებაც შეგვიზღუდა და 2016 წელს ხმებიც წაგვართვა. ჩვენი ხმები სამად გაყვეს და სხვებს გადაუნაწილეს. 700 საჩივრიდან არც ერთი არ განუხილავთ. სასამართლოს ამაოდ მივმართეთ. თუ რამე შეზღუდვაა, ესეც ჩვენთვის იქნება დაბრკოლება, თორემ ხელისუფლებას რა უჭირს! სსიპებიანად და აიპებიანად ქვეყანაში 300.000 ჩინოსანია. ისინი თავიანთი ოჯახის წევრებთან ერთად არიან „ქართული ოცნების“ ბირთვი. ამომრჩეველს რომ შევხვდეთ, ჩვენ მთა-ბარი უნდა შემოვიაროთ. ამის მიუხედავად, ხალხში მაინც ვივლით.

– არსებული მონაცემებით, წლევანდელ არჩევნებს უამრავი უცხოელი დამკვირვებელი ეყოლება. ეს გაყალბების დონეს შეამცირებს?

– მართლაც, ოდირის, ევროკავშირის, ევროპის საბჭოს, აშშ-ისა და სხვა დამკვირვებლები ჩამოდიან. ეს იმედს გვაძლევს, რომ ხელისუფლება ვერ გაბედავს იმას, რაც 2016 წელს და სხვა არჩევნებზე გააკეთა. რომ ასახელებენ მოგონილ ციფრებს, რის თქმა უნდათ?! ხელისუფლება ამბობს, რომ 55%-იანი (ხან 60%) მხარდაჭერა აქვს. ეს არის მითი. „ქართული ოცნება“ უმრავლესობას ვერ შექმნის. თუ ხელისუფლება გონს არ მოვა, 2003 წელს მიიღებს. მინდა გაცნობოთ ერთი ინიციატივა. მიგვაჩნია, რომ სამჯერ მეტად ერთი ადამიანის დეპუტატად არჩევა უნდა აიკრძალოს. საქართველოს ლამის ყველა მოწვევის პარლამენტში არიან მარადმწვანე დეპუტატები. ისინი არაფრის მაქნისებიც არიან. მათი ადგილი საკანონმდებლო ორგანოში მომავალში აღარ უნდა იყოს.

„შაქარაშვილის მკვლელობის საქმეზე, შესაძლოა, ახალი პირები დააკავონ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ვაჭრობს გარდაცვლილით. როგორ შეიძლება ასეთი რაღაცების თქმა.

– ფიქრობთ, რომ ეს მიზანმიმართულად ხდება?

– მათი მიზანია, რომ გამოვიდნენ დედა, მამა, ოჯახის სხვა წევრები, აგინონ ამ მთავრობას, მიწაში ჩადონ და მერე იქნებიან გმირები. რადგან დედ-მამა ამ მთავრობას არ უპირისპირდება, გამოჰყავთ, რომ ვაჭრობენ. ზოგიერთებმა იმდენი იკადრეს, რომ გარდაცვლილის დედასაც დაუპირისპირდნენ. ეს თაკო ჩარკვიანი რომ გამოდის და აცხადებს, დედა რატომ ხმას არ იღებსო, იქნებ მშობლებს იმაზე მეტი ინფორმაცია აქვთ გამოძიების შესახებ, ვიდრე ეს გაჟღერდა და სწორედ ამიტომ არ იღებენ ხმას. ანგელოზივით შვილი მიწაში ჩადეს და ამაზე დიდი უბედურება რაღა უნდა დაემართოთ?! საქმე რომ არასწორად მიდიოდეს, რა ძალა შეაკავებდათ?!

დარწმუნებული ვარ, ამ საქმის მკვლელი თუ მკვლელები აუცილებლად დაისჯებიან. ახლახან ერთ-ერთმა პირმა ვიღაცაზე თქვა, რომ „ბიტით“ მისდევდა შაქარაშვილს და „ბიტით“ ურტყამდა. ეს ინფორმაცია არ იყო ცნობილი მანამდე. საზოგადოება ამ საქმის ადვოკატების მიერ გავრცელებული ინფორმაციის მძევალია.

– რატომ, არასწორ ინფორმაციას ავრცელებენ?

– დიახ. სხვათა შორის, მეც უნდა ვყოფილიყავი ამ საქმის ერთ-ერთი ადვოკატი, მაგრამ უარი ვთქვი ამ საქმეში მონაწილეობაზე. რომელი ადვოკატი გამოვა და იტყვის, რომ თავისი კლიენტი, თავისი დაცვის ქვეშ მყოფი არის დამნაშავე?! გამოძიების მხარე კი ვერ დადგება და ყველა დებატებში ვერ მიიღებს მონაწილეობას.

– რატომ იყო ასეთი სასტიკი ანგარიშსწორება მაინცდამაინც შაქარაშვილზე, რა შეიძლება იყოს ამის მოტივი?

– მოტივი გამოძიებას ჯერჯერობით არ გამოუკვეთია, თუმცა აუცილებლად გამოიკვეთება. ერთ-ერთ მოტივად ჩანს ის, რომ ჩიქოვანს სცემეს დაბადების დღეზე და ისეთი გამწარებული იყო, შესაძლოა, ანგარიშსწორება ესეც იყოს. შემდეგ გამწარებულმა ჩიქოვანმა აღარ გაარჩია, ვინ დამნაშავე იყო, ვინ არა და, ვინც მოხვდა ხელში, ყველას გაუსწორდა. უამრავი ვერსია იყო, ხან შეყვარებულზე, ხანაც ყური მოაჭამესო. ხომ დავინახეთ, რომ აბსურდული ვერსიები იყო. მე, როგორც ყოფილი გამომძიებელი, ერთს გეტყვით: გამოძიება არასდროს გამოვა და არ იტყვის, რომ ის ისეა და ასეა. ადვოკატებიც შეცდომას უშვებენ.

– რატომ?

– ადვოკატებმა არ უნდა დადონ ყველა კოზირი, იმიტომ, რომ წინ სასამართლოა. თუ ყველაფერი წინასწარ დადე, ამას გამოძიება ხომ თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ტაქტიკა უნდა გქონდეს ისეთი, რომ რაღაცები, თუნდაც სათქმელი გქონდეს, უნდა დამალო. ყველაფერი ასე საჯაროდ არ უნდა გამოიტანონ.

დასადგენია მოტივი, ვინ იყვნენ, რამდენი. მე არ გამოვრიცხავ, რომ კიდევ არაერთი პირი იქნეს დაკავებული. დავინახეთ, რომ არავის ხელი არ გადაესვა. ვისაც კი ოდნავ რაღაც შემხებლობა ჰქონდა, ყველა დააკავეს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ იმ 17-დან ვიღაცა გამართლდეს და, პირიქით, ახალი დამნაშავეები გამოიკვეთოს.

ძველი დრო რომ იყოს, ამ დაკავებულებს მაგრად გაუსწორდებოდნენ და, შეიძლება, ერთმანეთისთვის დაესწროთ აღიარებითი ჩვენება. თუმცა ფაქტია, რომ ბრალდებულებზე ზეწოლა არ ხორციელდება.

– ითქვა ისიც, რომ ერთი აიღებს დანაშაულს თავის თავზე დანარჩენების გადასარჩენად.

– აღიარება არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაული მან ჩაიდინა და საქმე გახსნილია. ეს გამოძიებამ მტკიცებულებებით უნდა გამოკვეთოს. მარტო აღიარება არ კმარა იმისთვის, რომ ის დამნაშავედ გამოაცხადო. სხვა სერიოზული მტკიცებულებები უნდა ჰქონდეს გამოძიებას.

ფაქტი ის არის, რომ ეს ბიჭი მოკლულია. მე ვფიქრობ, ეს ადამიანები უმკაცრესად უნდა დაისაჯონ. ეს უნდა იყოს სამაგალითო დასჯა! ასეთი ანგელოზივით ბავშვი რომ ასე მოკლეს, დამნაშავის უმკაცრესად დასჯა მაგალითი უნდა იყოს დანარჩენი ახალგაზრდობისთვის. ვინმე რომ გაბედავს ასეთ რაღაცას, დაისჯება უმკაცრესად. მხოლოდ მკვლელები კი არა, დანაშაული ვინც არ შეატყობინა და 112-ში არ დარეკა, ყველა უმკაცრესად უნდა დაისაჯოს. ყველამ უნდა აგოს პასუხი!

– ძალიან იმატა ჩვენს ქვეყანაში ქუჩურმა გარჩევებმა, ქურდულმა მენტალიტეტმა. „ჩაცუცქული ბიჭების“ თაობაო, ასეთი შეფასებები გვესმის. რამდენად სავალალო სიტუაცია გვაქვს?

– დღეს ჰაერივით არის საჭირო უბნის ინსპექტორის ინსტიტუტის ამოქმედება. ეს ინსტიტუტი რომ მუშაობდა, თითოეულმა ინსპექტორმა იცოდა, ვინ იყო უბანში კრიმინალი. თანამედროვე კუკარაჩები გვჭირდება პოლიციაში. სანამ დანაშაული მოხდება, მანამდე უნდა გატარდეს ღონისძიებები. ისეთი მენტალიტეტი ჩამოყალიბდა, რომ პოლიციაში დარეკვა და პოლიციასთან თანამშრომლობა ტეხავს. ამ ყველაფერს, იცით, რამ შეუწყო ხელი?!

– რამ?

– დაუსჯელობის სინდრომმა. დაისაჯნენ სააკაშვილის ხელისუფლების დროინდელი დამნაშავეები? ან შევარდნაძის დროინდელი კაციჭამიები?! ამ ხალხს დღეს ნახევარი საქართველოს ქონება ჯიბეში უდევს. კრიმინალები კი არა, კაციჭამიები იყვნენ და დღეს ნახევარ საქართველოს ფლობენ. უყურებს ამ ყველაფერს ახალგაზრდობა და ხალხი, რომელსაც კრიმინალური წარსული ჰქონდა, დღეს მილიარდერია. უამრავი დანაშაული ხახვივით შერჩათ. ესენიც ფიქრობენ, ჩვენც ჩავიდენთ, იქნებ შეგვრჩესო.

მე მოვუწოდებ ამ ხელისუფლებას, რომ შაქარაშვილის მკვლელობის საქმე უნდა იყოს სამაგალითო დასჯა! თითოეულმა ახალგაზრდამ უნდა იცოდეს, რომ არ შერჩებათ არაფერი! რომელი საუკუნეა, ხალხო, რა დროს უბნებს შორის დაპირისპირებაა! ნახალოვკა არ უნდა დაიჩაგროსო. ეს სიტყვები ისეთი ადამიანებისგან გავიგე, რომ თმა ყალყზე დამიდგა! რა ნახალოვკა და რა საბურთალო, ხალხო! ტერიტორიები წაგვართვეს, იმათ დაჩაგვრაზე არაფერს ამბობთ და თურმე აქ უბნების დაჩაგვრაზეა ლაპარაკი.

„ოქრუაშვილის მართლა ასე ეშინიათ?“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ჩართულობით, იქნება მიშა ჩართული, განცხადებები და მოწოდებები იქნება, მაგრამ... მთავარი კიდევ არის ის, რომ „ოცნებამ“ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მისი მშვიდობიანი წასვლა თითქმის შეუძლებელი გახდეს.

– რატომ?

– რაც მან გააკეთა, იქიდან გამომდინარე. იგივე ყველას სამუშაოებიდან გაყრა. კოჰაბიტაციას აბრალებენ და, პრაქტიკულად, იყო რბილი შურისძიება. დაჭერები და დახვრეტები და ასეთი დიდი ამბები არ იყო, მაგრამ პროფესიონალი კადრების გაყრა იყო სამსახურებიდან. გაიხსენეთ 2012 წლიდან 2016 წლამდე პარლამენტი პირადად თქვენ და 2016 წლიდან დღემდე პარლამენტი და ერთმანეთს შეადარეთ, თუ გნებავთ, ინტელექტუალური რესურსით.

– არა მხოლოდ ამ ორი მოწვევის პარლამენტის შედარება, არამედ ზოგადად ასეთი სუსტი პარლამენტი, როგორიც დღეს არის, საერთოდ არ მახსენდება.

– სულ სხვა პარლამენტი იყო 2012-16 წლების პარლამენტი და სულ სხვაა დღეს. შევარდნაძემ რომ სამწლიანი დეფოლტირებული პარლამენტი შემოიღო, იქაც კი უკეთესი ინტელექტუალური რესურსი იყო. შევარდნაძე სათითაოდ არჩევდა. მე მაშინ მთავარი სახელმწიფო მრჩეველი ვიყავი და ჩემ თვალწინ ხდებოდა ეს.

მიშიკო ნანეიშვილი იყო დამოუკიდებელი კადრი, რომელსაც შევარდნაძე არ უყვარდა, მაგრამ შევარდნაძემ ორჯერ დაიბარა, 3-3 საათი ელაპარაკებოდა და აიძულა, პარლამენტში შესულიყო, თუმცა ნანეიშვილმა უთხრა, ვერ მოგცემთ პირობას, რომ არ გაგაკრიტიკებთო, რაზეც შევარდნაძემ უთხრა, რაც გინდა, ის ქენი, ოღონდ პარლამენტში შედიო. ახლა უკვე ასეთი მოთხოვნილებები აღარ არის.

– ბიძინა ივანიშვილის ჩართულობას არ ელოდებით საარჩევნო კამპანიაში და მიშასთან პაექრობას?

– ჩემი ახსნა ასეთია, რომ თუ ბიძინა პირველ ნომრად ჩაერთო, ეს ჩემთვის იმას ნიშნავს, რომ უკვე სხვა რესურსი აღარ აქვს „ქართულ ოცნებას“, იმიტომ, რომ ბიძინა არის პარტიის მთავარსარდლის სტრატეგიული რეზერვი. სხვა რეზერვი უკვე აღარ არის და ეს არის უკანასკნელი ბარიერი.

გახარია, შეიძლება, საქმიანიც არის და კარგი მენეჯერიც, მაგრამ შლეიფად მოჰყვება 20 ივნისის ცნობილი მოვლენები. თუ ბიძინა ჩაერთო, თუთაშხიასი არ იყოს, მთლად კარგად ვერ ყოფილა „ოცნების“ საქმე.

55%-ს მართლა რომ ელოდებოდეს „ოცნება“, ლაპარაკიც კი არ დაიწყებოდა იმაზე, რომ ივანიშვილი შეიძლება ჩაერთოს პირველ ნომრად და პარტიას სათავეში ჩაუდგეს. კიდევ სათავეში რომ ჩაუდგეს, ეს ისეთივე რაღაცაა, როგორც ორჯერ არ შეიძლება ერთ მდინარეში შესვლა. პოლიტიკაში ორჯერ ერთისა და იმავე სცენარის გათამაშება არ შეიძლება. ბიძინა რომ ჩაუდგეს სათავეში, გახდეს პრემიერი და მერე გადადგეს, ეს აღარ გამოვა, როგორც 2012 წელს გააკეთა. მაშინ ბიძინა ბოლომდე პრემიერი უნდა იყოს და მაგ კაცს ეგ არ უნდა. არ უყვარს მას პოლიტიკა. არ არის ბიძინა იმის კაცი, რომ დილის 9 საათზე მოვიდეს სამსახურში შევარდნაძესავით და 10-11 საათამდე კაბინეტში იჯდეს. ეგ სხვანაირი აღნაგობისა და მენტალობისაა, ასე რომ ვთქვათ, სხვა ჩამოსხმაა.

ამიტომ ეს უკიდურეს შემთხვევაში მოხდება.

შევიძენ

ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს და ფაიფურს.

ტელ.: 598-43-98-57

„ოცნება“, ნაციონალების გარდა, ყველას დაელაპარაკება“

ვახტანგ ძაბირაძე: „რამდენჯერაც იტყვიან, სააკაშვილი დაბრუნდებაო, „ქართულ ოცნებას“ თავისივე ხელით იმდენ ხმას დაუმატებენ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებსა და პარტიების რეიტინგებზე საუბრობს.

– ბატონო ვახტანგ, ბოლო სოციოლოგიური კვლევებით, 39% აქვს „ქართულ ოცნებას“, 16% – ნაციონალურ მოძრაობას, „ევროპულ საქართველოს“ „თავისუფალ დემოკრატებთან“ ერთად – 5%. მოსახლეობის 20% კი გადაუწყვეტელია. ამ კვლევებიდან რა განწყობები შეიძლება წავიკითხოთ?

– ეს შედეგები მოულოდნელი ნამდვილად არ ყოფილა. მე ვამბობდი, რომ „ქართული ოცნება“ პირველ ადგილზე გავიდოდა, მაგრამ არ ვამბობდი, რომ 51%-ს გადალახავდნენ. თუმცა, მას ყველაზე მეტი შანსი ექნება, რომ მთავრობა დააკომპლექტოს. ეს არის იმ რეალობის ასახვა, რა განწყობებიც არის დღეს ხალხში. ხელისუფლების ეს რეიტინგი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორიდან გამომდინარეობს. შეიძლება ითქვას, ხელისუფლებამ მთელი ამ ხნის განმავლობაში ხასიათი აჩვენა. ცხადია, აქ ვირუსთან ბრძოლის ფაქტორიც მუშაობს.

რაც შეეხება ოპოზიციას. ოპოზიცია მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთსა და იმავე მოტივზეა აწყობილი. ვერ მოძებნეს ისეთი თემები, რომლებიც მოსახლეობისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი, ვერ ჩამოყალიბდნენ პრიორიტეტებში, ადამიანებისთვის საჭირბოროტო საკითხებზე. დენდროლოგიური პარკისთვის მოთხრილი ხეების გამო ეკოლოგია დაიქცა – სამწუხაროდ, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ეკოლოგიის თემა სულაც არ არის პირველი და არც მეორეხარისხოვანი. ოპოზიციამ გარკვეული შეცდომები დაუშვა და ინიციატივა მთლიანად ხელისუფლებას გადააბარა.

ოპოზიცია სულ სხვა მიმართულებით უნდა წასულიყო. არა მგონია, დარჩენილ დროში ეს აქცენტები გადააადგილონ და შეცვალონ. შესაბამისად, მიიღებენ იმ შედეგს, რომელიც მათთვის მაინცდამაინც მისაღები არ იქნება.

– კვლევების მიხედვით ჩანს, რომ არც ერთი პარტია არ არის თვითკმარი. „ქართული ოცნება“ არსებული მონაცემებით კი გადის პირველ ადგილზე, მაგრამ მთავრობას ვერ აყალიბებს. თუ არჩევნებმაც იგივე შედეგი დადო, ვისთან შეიძლება, „ოცნებამ“ მოლაპარაკებები აწარმოოს მთავრობის შესაქმნელად?

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გააგრძელებს ოპოზიცია საქმიანობას, როგორ წარმართავს წინასაარჩევნო კამპანიას. რამდენჯერაც იტყვიან, სააკაშვილი დაბრუნდებაო, ჩათვალეთ, იმდენ ხმას დაუმატებენ თავისივე ხელით „ქართულ ოცნებას“. თუ ასეთ მარტივ რაღაცებს ვერ გააცნობიერებენ, არ არის გამორიცხული, ვოლსკი მართალი აღმოჩნდეს, რომელიც იმედს გამოთქვამს, რომ მათ რესურსი ეყოფათ მთავრობის შესაქმნელად.

მიუხედავად ამისა, მე მაინც იმედი მაქვს, რომ პროპორციულ ნაწილში „ოცნება“ 50%-ს ვერ გადალახავს. ძალიან არ მინდა, რომ ვინც არ უნდა იყოს, კოალიციის გარეშე შეიქმნას ახალი მთავრობა, თუმცა „ოცნებას“ არც კოალიციის შექმნა გაუჭირდება.

– თუ მეორე ადგილზე ნაციონალური მოძრაობა გავა, რთულად წარმომიდგენია ნაციონალებისა და „ოცნების“ ერთობლივი მთავრობა.

– ძალიან ჭრელი პარლამენტი იქნება და, ნაციონალური მოძრაობის გარდა, ყველასთან ილაპარაკებს „ოცნება“. კოალიცია ალტრუისტული გაერთიანება ხომ არ არის! ნებისმიერი გამარჯვებული ძალა, რომელიც პარლამენტში შევა, თავისი პროცენტული მაჩვენებლიდან გამომდინარე, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოითხოვს კვოტას იმის მიხედვით, თუ რა არის მისთვის პრიორიტეტი. რა, არ უშვებთ, რომ, მაგალითად, „გირჩთან“ გაფორმდეს კოალიცია, თუ ნარკოტიკების ლეგალიზება მოხდება?! თუ ამ ნაბიჯს გადადგამს „ოცნება“, ერთი ჰკითხეთ „გირჩს“, შევა თუ არა „ოცნებასთან“ კოალიციაში?! რა თქმა უნდა, შევა!

რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, მასთან „ქართულ ოცნებას“ კოალიცია არ აწყობს. არ აწყობს იმიტომ კი არა, რომ საერთო ენას ვერ მონახავენ, იმიტომ არ აწყობს, რომ ნაციონალური მოძრაობა „ოცნებას“ სჭირდება, როგორც მტრის ხატი.

– წინასაარჩევნოდ შეიძლება, ვითარება დაიძაბოს? ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლების ხელშია კანონმდებლობა, რომელიც ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გარეშე ითვალისწინებს მსგავს ზომებს.

– თუ ხელისუფლება თავად არ არის დაინტერესებული, რომ არასტაბილური გარემო შექმნას, აბსოლუტურად არანაირი საჭიროება არ დგას, რომ არ ჩაატაროს გამჭვირვალე და თავისუფალი არჩევნები. დღევანდელი მოცემულობით, „ქართულ ოცნებას“ შეუძლია, ჩაატაროს თავისუფალი არჩევნები და ძალაუფლებაც შეინარჩუნოს. რა თქმა უნდა, კოალიციურ მთავრობაში, მაგრამ ძალაუფლებას შეინარჩუნებენ.

ამირან სალუქვაძე: „რუსეთი საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის ძალიან საშიში ქვეყანაა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ საკითხებში ამირან სალუქვაძე პასუხობს.

– ბატონო ამირან, მოგეხსენებათ, რუსმა სამხედროებმა ცხინვალის რეგიონის საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს მდებარე სოფლებიდან ორი ადამიანი გაიტაცეს. მათ შორის, ერთი დაჭრილია. ოფიციალური რუსეთი კი საქართველოს ვითარების დაძაბვაში ადანაშაულებს. ამჯერად რის მიღწევას ცდილობს რუსეთი იმ სიტუაციაში, როდესაც საერთოდ კავკასიაში, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის საომარი ვითარებაა?

– მთლიანობაში რომ შევაფასოთ, რუსეთის პოლიტიკაში სიახლე არაფერია. აგრესიული სამეზობლო პოლიტიკა გრძელდება. რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას მხოლოდ ჩვენი მისამართით არ ატარებს, ანალოგიურად იქცევა უკრაინის მიმართაც. იგივე პოლიტიკა ექნება სხვა მეზობელ სახელმწიფოსთან, თუ მათი პოლიტიკა მეზობლის პოლიტიკასთან თანხვედრაში არ იქნება. ამდენად, ახალი არაფერია.

მეორე მხრივ, საქართველოში საარჩევნო წელია. ისმება კითხვა: ჩაერევა თუ არა რუსეთი? როცა საარჩევნო პროცესში ერევიან, განცხადებას არავინ აკეთებს, მე საარჩევნო კამპანიაში ჩავერევიო. ისინი გარკვეულ ქმედებებს ახორციელებენ.

– რას გულისხმობთ?

– ქმედებების მთელი სპექტრია. ერთ-ერთია მათი აგრესიული რეჟიმი და ამ რეჟიმის გამოვლინება ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ეს არის ადამიანების გატაცებები თუ ისეთი აბსურდული, შეთითხნილი საქმეები, რომლებსაც ახლა უთითხნიან ჩვენს მოქალაქეებს.

– იგივე ღამურებთან დაკავშირებული ბრალდება სასაცილო არ არის?

– თავს თვითონ იმასხარავებენ. მთლიანობაში რა გამოდის? ადამიანი ღამურას მისდევდა, დააკავეს და ამის გამო სროლა ატეხა. ნორმალურად შეთითხნაც კი არ შეუძლიათ. უბრალოდ, მიკვირს. ამას ადგილობრივი საოკუპაციო რეჟიმები აკეთებენ თავიანთი დაბალი კვალიფიკაციით თუ რუსეთის ცენტრალურმა ორგანოებმა, სპეცსამსახურებმა კვალიფიკაცია დაკარგეს.

აბსურდია. ღამურების მეტი რა არის თუნდაც თბილისში. იქით რომ არ გადავიდეს, ღამურებს აქეთ ვერ იპოვის? თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მეტი ღამურაა? თუ ღამურას მისდევდა, იარაღი რა შუაშია? გამოდის, რომ ღამურის დაჭერის გამო ადამიანი დააკავეს და ახლა რაღაცას ედავებიან.

მესამე – ძალიან მდარე, დაბალი დონის პროვოკაციაა ლუგარის ლაბორატორიის წინააღმდეგ. აქამდე „წონიან“ სკანდალებს აგორებდნენ ჩვენი ძებნილი ექსმინისტრის მეშვეობით, რუსეთის ცენტრალური არხების ტოკშოუებში რაღაც საბუთებს აფრიალებდნენ. ახლა ღამურებზე გადავიდნენ. 5 ათას დოლარად ღამურა ძალიან ძვირია. აბსურდია. ღამურა ჩემს სახლშიც იყო შემოსული და ცოცხით გავაგდე.

– შეიძლება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე დაჭერილი ღამურა უფრო ძვირფასია.

– შეიძლება, ოკუპირებულ ტერიტორიაზე განსაკუთრებული ღამურები არიან. წარმოიდგინეთ, სადღაც სოფელში, თბილისიდან მოშორებით, ჩვენმა მოქალაქემ იცის, რომ ღამურა ღირს 5 ათასი დოლარი და ოკუპირებულ ტერიტორიაზე გარბის, ჩვენ კი თბილისში, ლუგარის ლაბორატორიასთან ახლოს, ამის შესახებ არაფერი ვიცით. ხომ წარმოგიდგენიათ, ახლა მილიონი ადამიანი თბილისში ღამურების დაჭერით იქნებოდა დაკავებული. ანეკდოტური ბრალდებაა.

– ამ შემთხვევაში რუსეთი საქართველოს სპექტაკლების დადგმასა და პროვოკაციაში ადანაშაულებს, მაგრამ არც ამერიკის კრიტიკას ერიდება. მე მგონი, თვითონ სურს საქართველოში ვითარების გამწვავება იმ ფონზე, რაც ხდება ზოგადად კავკასიაში.

– ეს არის რუსეთის პოლიტიკა. საარჩევნო წელია, პანდემიის ფონზე ლუგარის ლაბორატორიის თემა ხელახლა წამოსწიეს. შემდეგ დაავიწყდებათ და ამ საკითხს რამდენიმე თვეში ისევ წამოსწევენ.

რაც შეეხება ზოგადად ამიერკავკასიაში დაძაბულობებს, დაძაბულობების წყარო რუსეთია. სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებს რუსეთი არც შეარიგებს და არც ისე ავნებს, რომ მათზე და სიტუაციაზე კონტროლი დაკარგოს. რუსეთს არც ამ კონფლიქტის დარეგულირება აწყობს და არც მასშტაბური საბრძოლო მოქმედებები, ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასეა. ხვალ-ზეგ რა იქნება, არავინ იცის.

ბოლო პერიოდში რუსეთი არაპროგნოზირებადი ხდება. ძალიან შეტოპეს. ახლაც საბრძოლო მზადყოფნას ამოწმებენ, ყველა საბრძოლო თვითმფრინავი და მიწისზედა სამხედრო ტექნიკაა ჩართული. ამ ყველაფერს ტელევიზიები მონდომებით აჩვენებენ. საბრძოლო მზადყოფნას სხვა ქვეყნებიც ამოწმებენ, მაგრამ ცენტრალურ არხებზე არ აჩვენებენ.

საერთაშორისო პოლიტიკაში ეს ცუდ ტონად აღიქმება. ამას ეძახიან იარაღის ჟღარუნს, რასაც აკეთებს ჩრდილოეთ კორეა. ის პატარა სახელმწიფოა, რუსეთი დიდი სახელმწიფოა. კორეას რამდენიმე ბირთვული ქობინი აქვს. რუსეთს გაცილებით მეტი აქვს.

– ცხინვალის რეგიონში ქართველებს აქამდეც იტაცებდნენ, მაგრამ ახლა ამ პროცესში იარაღი ჩაერთო. გატაცებული გახელაძე დაჭრილია. თქვენ სამხედრო ბრძანდებით და იცით, რა შემთხვევაში შეიძლება, სამხედრომ იარაღი გამოიყენოს. ოფიციოზს იარაღის უფლება რომ არ მიეცათ, ხომ არ გამოიყენებდა?

– ჩვენთვის ეს არის საოკუპაციო საზღვარი. რიგითი სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომლებიც იქ დგანან, საზღვარია. იქ დგას რიგითი, რა დავალებაც აქვს, იმ დავალებას ასრულებს, ანუ ე.წ. საზღვრის დამრღვევის დაკავების დავალებას ასრულებს. თუ პირი არ ემორჩილება, მას იარაღის გამოყენების უფლება აქვს. ჩვენ არ ვიცით, დაემორჩილა, არ დაემორჩილა, ჯარისკაცი მთვრალი იყო თუ რა მოხდა.

სიმართლეს ხომ ვერ გავიგებთ. საქმე ცივილიზებულ მეზობელთან არ გვაქვს. საქმე გვაქვს აგრესორთან და ოკუპანტთან, რომელიც თავის სამეზობლო პოლიტიკას აგრესიულად წარმართავს. საქართველოს მიმართ ყველა მათი ქმედება კონკრეტული სიგნალია. არ იციან, რომ ეს არ არის სასაუბრო ენა, რომლითაც რამის გადაწყვეტა შეიძლება. რად უნდოდა ადამიანს იარაღი, თუ ღამურების დასაჭერად მიდიოდა.

– აბრალებენ, ხუთჯერ გაისროლაო.

– იცის, იქით მხარეს როგორი დაჯგუფებაა შექმნილი და რა რაოდენობის შეიარაღება აქვთ სეპარატისტების ბანდფორმირებებს. წავიდა მარტო კაცი და გაისროლა? ეს ხომ აბსურდია. რისთვის სჭირდებოდა. წლები გადის და მათი ქმედებები დახვეწილ ფორმებს იღებს. კომიკური იქნებოდა, ჩვენს მოქალაქეებს რომ არ ეხებოდეს და დაკავებული არ იყვნენ. თუმცა, მაინც კომიკურია, რა სცენარებსაც წერენ და რა ბრალდებებსაც თითხნიან. გასროლა სისულელეა. რომელი საღად მოაზროვნე ადამიანი წავა ცხინვალის მხარეს მარტო და ისვრის. იცის, რომ იქ დგანან რუსი სამხედრო ე.წ. მესაზღვრეები. მესაზღვრეების უკან კი რუსეთის მრავალათასიანი ბაზაა.

– ამ პროცესში არის მოწოდება, რომ საქართველომ უნდა გამოიყენოს რუსეთთან მოლაპარაკების აპრობირებული მეთოდები.

– ყველა არსებული ინსტრუმენტები ჩართულია, რის გამოყენებაც შეიძლება, დაწყებული ცხელი ხაზით, დამთავრებული ჩვენი პარტნიორების ჩათვლით. მორიგი შეხვედრა ჩაინიშნება და ვნახავთ, რა გამოვა. დღეს მსოფლიოში პანდემიაა. ამ სიტუაციაში პირდაპირი შეხვედრა ძალიან ცოტა იმართება. ფაქტობრივად, ამ თვეში ცალკეული ვიზიტები დაიწყო.

– ასეთი შეხვედრების შედეგი რა შეიძლება იყოს?

– არანაირი შედეგი არ იქნება. რუსეთის მხრიდან იგივე პოლიტიკა გაგრძელდება. მთავარი შედეგი ის უნდა იყოს, რომ მივაღწიოთ საოკუპაციო რეჟიმის კლანჭებიდან ჩვენი მოქალაქეების დახსნას. სხვას არაფერს ველოდებით. საქართველო თავის პოლიტიკას არ შეცვლის, სანამ ტერიტორიები ოკუპირებულია. ზეწოლის ქვეშ რაიმე შედეგის მიღწევა არ შეიძლება.

დღეს რუსეთი ძალიან არასანდო პარტნიორია და საქართველოს ნებისმიერი მოქალაქისთვის ძალიან საშიშია. ყველა გამოკვლევა ადასტურებს, რომ რუსეთი დღეს სანდო პარტნიორი არ არის. ამ ორი სახელმწიფოს ურთიერთობაში რაიმე რომ შეიცვალოს, ნდობა უნდა გაჩნდეს.

– რუსეთსა და საქართველოს შორის ნდობა როგორ უნდა გაჩნდეს?

– ნდობა უნდა გაჩნდეს იმ სახელმწიფოს მხრიდან, რომელიც გაცილებით ძლიერია. რუსეთი ბირთვული დერჟავაა (როგორც ისინი საკუთარ თავს ეძახიან), უზარმაზარი არმიით, უზარმაზარი ტერიტორიითა და მოსახლეობით. ჩვენ საპირწონედ არ გაგვაჩნია სამხედრო პოტენციალი, რაც რუსეთს გააჩნია. ეს არის რეალობა. როდესაც არ ენდობი, მოლაპარაკება როგორ უნდა წარიმართოს. ზეწოლის ქვეშ მოლაპარაკება როგორ უნდა წარიმართოს? რას ითხოვს რუსეთი? ოკუპაციას შევეგუოთ?

– არა, რას ამბობთ!

– კრემლმა კარგად იცის წითელი ხაზები, ამ რეალობაში რა შედეგები უნდა დადგეს. საქართველოს მოსახლეობა რუსეთის მხრიდან მისი ტერიტორიების ოკუპაციას არ შეეგუება. თუ ამას კრემლში გაიგებენ, სამშვიდობო პროცესი შეიძლება დაბრუნდეს, რაც 2008 წლის ომამდე იყო, გადავახვიოთ უკან და ურთიერთობა ახლიდან დავიწყოთ. აი, მაშინ შეიძლება რუსეთთან ურთიერთობა.

– ანუ რუსეთმა ჩვენი ტერიტორიების დამოუკიდებლად აღიარება უკან უნდა წაიღოს და ჯარი 2008 წლის დროინდელ პოზიციებზე უნდა გაიყვანოს?

– ეს ერთ დღეში არ ხდება. სიტყვა „გაგება“ შემთხვევით არ გამოვიყენე. კრემლის მესვეურების აზროვნებაში ეს გაგება, ეს აღქმა რომ იქნება, მაშინ ლაპარაკი შეიძლება და ორი ქვეყნის ურთიერთობაში გაჩნდება ნდობა. ეს გადაწყვეტილება რუსეთის მისაღებია და არა საქართველოსი. საქართველოს არც აგრესიული პოლიტიკა აქვს, არც აგრესიული რიტორიკა. ჩვენ ვიცავთ ჩვენს ტერიტორიულ მთლიანობას. რამდენი მოქალაქეც არ უნდა გაიტაცონ, განსაკუთრებით, წინასაარჩევნო პერიოდში, ჩვენს განწყობებზე გავლენას ვერ მოახდენენ.

ხელისუფლება მოქმედებს იმ რესურსის ფარგლებში, რა რესურსიც გააჩნია. საქართველოს გარედან მხარდაჭერა აქვს, განსაკუთრებით აშშ-ისაგან, სადაც ცოტა უფრო კარგად აღიქმება რუსეთის აგრესიული პოლიტიკა. რუსეთის წინააღმდეგ სანქციებზე კვლავ დაიწყო საუბარი. ეს პოლიტიკა უნდა გააქტიურდეს, თუ რუსეთის მხრიდან პოლიტიკა არ შეიცვლება.

– ამ ვითარებაში საქართველოს პრეზიდენტი სადამკვირვებლო მისიის მანდატის გაზრდის წინადადებით გამოვიდა. მოგეხსენებათ, 2008 წლამდე სადამკვირვებლო მისიის მანდატი ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთზეც ვრცელდებოდა. თუ ხედავთ თქვენ რაიმე შანსს, რომ სადამკვირვებლო მისიას მანდატი გაეზარდოს?

– რთულად რეალიზებადი წინადადებაა დღევანდელი რუსეთის პირობებში, მაგრამ მსგავს ინიციატივებს მივესალმები. ყველანაირი გზით უნდა ვცადოთ, რომ სადამკვირვებლო მისიის მანდატი გაიზარდოს.

ანი გაბეჩავა: „ჩემი ცხოვრებაც დამთავრდა, როგორც გიორგისი“

– მინდა, მივმართო გიორგი შაქარაშვილის ოჯახს, მეგობრებს, ახლობლებს და მივუსამძიმრო ეს დიდი ტრაგედია, რაც მოხდა. მეც ნამდვილად გამანადგურა ამ ყველაფერმა. ჩემი ცხოვრებაც დამთავრდა, როგორც გიორგისი.

ამის შესახებ ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის გარდაცვალების საქმის ერთ-ერთმა მოწმე ანი გაბეჩავამ ტელეკომპანია პირველის ეთერში განაცხადა.

ანი გაბეჩავამ ისაუბრა 18 ივნისს, მის დაბადების დღეზე განვითარებულ მოვლენებზე, სადაც ასევე შაქარაშვილიც იმყოფებოდა.

– ეს ყველაფერი უშუალოდ მართლა მე მეხება, რადგან ჩემს დაბადების დღეზე მოხდა და ამის შემდეგ მეც ძალიან ცუდად ვარ, ძალიან განვიცდი ამ ამბავს. ეს მინდოდა მეთქვა... იცოდეთ, რომ არც ერთი წამით არ მაქვს გულგრილი დამოკიდებულება ამ ამბის მიმართ, არც ერთ მათგანს არ დავაფარებ ხელს და არ დავიცავ, ვინც ამ ყველაფერში დამნაშავეა.

პირველ რიგში, ჩემი ცხოვრება ძალიან შეიცვალა. სრულიად ახალ ეტაპზე გადავდიოდი, ვერც ეროვნულ გამოცდებზე გავედი, მაგრამ ამას აღარ აქვს მნიშვნელობა, რაც მოხდა, ალბათ, ასე უნდა მომხდარიყო, – განაცხადა გაბეჩავამ.

გასულ კვირას შინაგან საქმეთა სამინისტროში მარიამ ხატისკაცი გამოიკითხა.

როგორც ხატისკაცმა ჟურნალისტებს განუცხადა, შსს-ს მასთან კითხვები სოციალურ ქსელთან დაკავშირებით ჰქონდა.

– სოციალურ ქსელთან დაკავშირებით დაადგინეს რაღაც დეტალები და სოციალური ქსელები შეამოწმეს, მიმოწერასთან დაკავშირებით იყო კითხვები, – განაცხადა მარიამ ხატისკაცმა.

როგორც მან თქვა, დაბადების დღის წვეულებაზე გიორგი შაქარაშვილი მას არ დაუპატიჟია და არ იცის, ვინ დაპატიჟა.

ამასთან, ხატისკაცის თქმით, შაქარაშვილის გაუჩინარების შესახებ ამავე საქმის ერთ-ერთი მოწმის ლიზი ნადირაძისგან გაიგო.

– თემქაზე ვიყავი, კი. ლიზი ნადირაძისგან გავიგე. ლიზიმ გაიგო ინფორმაცია ხალხისგან იმიტომ, რომ ვინც იყვნენ, დაგვირეკეს, იქ ვეღარ მივდივართო და აქედან გამომდინარე, – განაცხადა ხატისკაცმა.

რაც შეეხება კითხვას, რა უთხრა ფოტოგრაფმა იაკობ ბრეგვაძემ ხიდზე მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ხატისკაცმა განაცხადა, რომ ბრეგვაძეს მისთვის „ისეთი არაფერი უთქვამს“.

16 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროში ფეხბურთელ გიორგი შაქარაშვილის საქმის მოწმეების გამოკითხვა რამდენიმე საათის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ქუთაისში ახალგაზრდა ქალს ყელი გამოსჭრეს

18 ივლისს ქუთაისში ახალგაზრდა ქალის ცხედარი იპოვეს.

მეზობლები ამბობენ, რომ ბინიდან ხმაური გაიგეს და პოლიცია გამოიძახეს. მათივე თქმით, ქალს ყელის არეში ჭრილობა, სავარაუდოდ, ცივი იარაღით მიაყენეს.

ადგილზე მისულ სამართალდამცველებს ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილი დახვდათ.

როგორც „კურიერმა“ გაარკვია, მოკლულმა ქალმა საცხოვრებელი ბინა დაახლოებით 2 თვის წინ იქირავა და მეგობარ გოგონასთან ერთად ცხოვრობდა.

ადგილობრივების თქმით, ქალი რამდენიმე წუთის განმავლობაში შველას ითხოვდა, მას შემდეგ კი, რაც ხმაური შეწყდა, დაახლოებით ორ საათში მეზობლები მის სახლში ავიდნენ, თუმცა პასუხი არავინ გასცა. ამის შემდეგ მაშველები გამოიძახეს, თუმცა პოლიციის მოსვლამდე ტრაგედიის ადგილზე არავინ შესულა, რადგან, მოქმედი კანონმდებლობით, პოლიციის გარეშე კარის შემტვრევა დაუშვებელია. სახლის კარი მხოლოდ სამართალდამცავების მოსვლის შემდეგ შეამტვრიეს. ახალგაზრდა ქალი გარდაცვლილი დახვდათ.

თავდამსხმელმა მიმალვა მოასწრო.

მომხდარზე გამოძიება 108-ე მუხლით დაიწყო, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მისიის ხელმძღვანელთან შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილმა საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) მისიის ხელმძღვანელ სანია ჩელებიჩ ლუკოვაცთან და პროექტის „სომხეთსა და საქართველოში მიგრანტთა უფლებებისა და დემოკრატიული მმართველობის გაძლიერება“ ხელმძღვანელ მაია ვებლერთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე მხარეებმა EMERGE პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები განიხილეს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ხაზი გაუსვა მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის აქტიური მხარდაჭერის მნიშვნელობას.

ნინო ცაციაშვილმა საქართველოში მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელს მადლობა გადაუხადა წლების განმავლობაში სხვადასხვა სფეროში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ასევე, ისაუბრა სამომავლო თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებზე.

EMERGE პროექტის მიზანია მიგრანტთა უფლებების დაცვისა და დემოკრატიული მმართველობის სფეროში სომხეთისა და საქართველოს შესაძლებლობების გაძლიერება, დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება. პროექტი ფინანსდება ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

გურჯაანში მე-5 სართულიდან 3 წლის ბავშვი გადმოვარდა

გურჯაანში საცხოვრებელი კორპუსის მეხუთე სართულიდან 3 წლის ბავშვი გადმოვარდა. შემთხვევა ცხრა აპრილის ქუჩაზე მოხდა. მცირეწლოვანს თავდაპირველად გურჯაანის ჯეო-ჰოსპიტალის კლინიკაში ჩაუტარდა გადაუდებელი ქირურგიული ოპერაცია. მას ელენთა და თირკმელი ჰქონდა დაზიანებული, რის შემდეგაც თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში გადმოიყვანეს.

ექიმის ინფორმაციით, ბავშვის მდგომარეობა მძიმეა.

ადგილზე პოლიცია იყო მობილიზებული. გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 124-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

77 წლის მამაკაცი, რომელსაც ტრაილერი დაეჯახა, კლინიკაში გარდაიცვალა

ხაშურთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაშავებული ქვეითი, რომლის მდგომარეობაც კრიტიკული იყო, გარდაიცვალა.

ავარია 117 ივლისს მოხდა. ავტომაგისტრალზე მოძრავი ტრაილერი ფეხით მოსიარულეს დაეჯახა. დაშავებული 77 წლის მამაკაცი „გორმედის“ ქსელის ხაშურის კლინიკურ საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს, სადაც მკურნალობა უტარდებოდა, თუმცა, ექიმების განცხადებით, დაზიანებების ხარისხი სიცოცხლესთან შეუთავსებელი იყო.

ჭიათურაში მ.გ. ქურდული სამყაროს მხარდაჭერის ბრალდებით დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის 12 მარტს ჭიათურაში გამართული „ქურდული შეკრებისა“ და „ქურდული სამყაროს“ წევრებისთვის ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენლისთვის საწარმოს მოგების 30%-ის გადახდის იძულების ფაქტთან დაკავშირებით კიდევ ერთი პირი დააკავა.

იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ჭიათურის რაიონული სამმართველოს და განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის იმერეთის სამხარეო სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ

საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული მ.გ. „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მონაწილეობდა მიმდინარე წლის 12 მარტს „ქურდული სამყაროს“ წევრების, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ჯ.ი.-სა და გ.წ.-ს ორგანიზებით მოწყობილ „ქურდულ შეკრებაში“, რომლის გადაწყვეტილების თანახმად, ერთ-ერთი კომპანიის წარმომადგენელს საწარმოს მოგების 30%-ის გადახდა დაეკისრა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული სპეციალური ოპერატიული ღონისძიების შედეგად, მ.გ. მოსამართლის განჩინების საფუძველზე, ჭიათურაში, საკუთარ საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

აღსანიშნავია, რომ პოლიციამ ხსენებული „ქურდული გარჩევის“ ორგანიზატორები, წარსულში ნასამართლევი პირები: 1973 წელს დაბადებული ჯ.ი. და 1986 წელს დაბადებული გ.წ. მიმდინარე წლის აპრილში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, „ქურდულ შეკრებაში“ მონაწილეობისა და „ქურდული სამყაროს“ წევრობის ბრალდებით დააკავა.

მ.გ.-ს მიმართ გამოძიება საქართველოს სსკ-ის 223-ე მე-3 პრიმა მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის მხარდაჭერას იმ პირის მიერ, რომლისთვისაც ცნობილია „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის შესახებ და რომელიც აქტიური ქმედებით ხელს უწყობს „ქურდული სამყაროს“ საქმიანობის განხორციელებას.

პოლიციამ მარგველაშვილის სიძე მინდია გოგოჭური დააკავა

სამართალდამცველებმა საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის გიორგი მარგველაშვილის სიძე მინდია გოგოჭური დააკავეს.

არსებული ინფორმაციით, დაკავება სასტუმრო „პარაგრაფში“ მომხდარ ინციდენტს უკავშირდება.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ შსს-ში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება მიმდინარეობს ორი მუხლით – სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ძალადობას/ცემას გულისხმობს და 236-ე მუხლით, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა– ტარებას ითვალისწინებს.

პიტბულმა წინამძღვრიშვილზე 67 წლის ქალი დაგლიჯა

ქალი მართვით სუნთქვაზეა

17 ივლისს თბილისში საღამოს, დაახლოებით 9 საათისთვის, წინამძღვრიშვილის ქუჩაზე პიტბულმა 67 წლის ქალი დაგლიჯა.

შემთხვევისას ირგვლივ მყოფი ადამიანები რამდენიმე წუთი განმავლობაში უშედეგოდ ცდილობდნენ ქალის დახმარებას. ამის შემდეგ ერთ-ერთმა თვითმხილველმა პირმა, რომელიც შეიარაღებული იყო, ჰაერში რამდენჯერმე გაისროლა, თუმცა მას შემდეგ, რაც გასროლის ხმას ძაღლის რეაქცია არ მოჰყვა, მამაკაცმა ძაღლს ესროლა.

ადგილობრივების ნაწილის განცხადებით, ძაღლი აგრესიით მხოლოდ ცხოველების მიმართ გამოირჩეოდა. წინამძღვრიშვილის ქუჩაზე მცხოვრები ქალი იხსენებს, თუ როგორ დაგლიჯა აღნიშნულმა ძაღლმა ერთ-ერთი მეზობლის ჰასკი.

ძაღლის მეპატრონის ოჯახის მეგობარი კი აცხადებს, რომ 3 წლის პიტბულს არასდროს არავისთვის უკბენია. მისივე თქმით, შემთხვევის შემდეგ ძაღლი დააძინეს.

რაც შეეხება მძიმე მდგომარეობაში მყოფ ქალს, პაციენტს რამდენიმე გადაუდებელი ოპერაცია უკვე ჩაუტარდა. ის რეანიმაციულ განყოფილებაში მართვით სუნთქვაზე იმყოფება. ქალს ძაღლის კბენის შედეგად მიყენებული ჭრილობები თავისა და სახის მიდამოზე აქვს, ასევე – ქვედა კიდურებსა და მუცლის არეში.

– ამ ეტაპზე მისი მდგომარეობა ფასდება მძიმედ, იმყოფება მართვით სუნთქვაზე, ჰერმოდინამიკა არის არასტაბილური, უტარდება ყველა ის ღონისძიება, რაც საჭიროა.

ყველაზე დიდი ჭრილობა, რომელიც ქალბატონს მიყენებული აქვს კბენის შედეგად, ეს არის თავი და სახის მიდამო, სადაც ჩატარდა ყბა-სახის ქირურგების მიერ ოპერაცია. ასევე არის მუცლის ჭრილობაც, მაგრამ მუცლის ღრუ ამ დაზიანების გარეშეა. ორივე ქვემო კიდურზე არის მიღებული ჭრილობა. ერთადერთი ყველაზე მძიმე კატეგორიად ფასდება, როდესაც არის თავ-კისრის არეში მიყენებული ჭრილობა. ჩატარდა ოპერაცია, აღდგენილ იქნა ქსოვილი, ვნახოთ, როგორ წავა მდგომარეობა, – აღნიშნა თსსუ-ს პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალურმა დირექტორმა ლევან რატიანმა.

დაშავებულის შვილი ამბობს, რომ ის პოლიციაში სარჩელის შეტანასა და ძაღლის მეპატრონეების დასჯას მოითხოვს. მისი თქმით, ძაღლის მეპატრონეებმა სიფრთხილე არ გამოიჩინეს და ძაღლი, რომელიც ე.წ. მებრძოლი ძაღლების კატეგორიას მიეკუთვნება, უყურადღებოდ დატოვეს.

– ადამიანი კრიტიკულ მდგომარეობაშია და, გადარჩება თუ არა, ესეც არ ვიცით. ყველა მეზობელს აქვს მაგაზე პრეტენზია. მე როგორც გუშინ გავიგე, დაუბლეჯია ძაღლი, უკბენია პატრონის მეგობრებისთვის არაერთხელ. პასუხი უნდა აგოს, – განაცხადა დაშავებული ქალის შვილმა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ დოკუმენტების ინსპექტირების აღჭურვილობა გადასცა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ (IOM), ევროკავშირის ფინანსური დახმარებით, დოკუმენტების ინსპექტირების თანამედროვე აღჭურვილობა საჩუქრად გადასცა.

აღჭურვილობის გადაცემის ცერემონია თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გაიმართა. ღონისძიებას შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი – ვაჟა სირაძე, საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს უფროსი – გურამ დავითაშვილი, ასევე, შინაგან საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი – ეკატერინე მაჭავარიანი, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის ხელმძღვანელი საქართველოში – სანია ჩელებიჩ ლუკოვაცი და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის პოლიტიკის, პრესისა და ინფორმაციის განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილე – მონიკა ჩაკი დაესწრნენ.

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტისთვის გადაცემული საერთაშორისო სტანდარტების აღჭურვილობა მესაზღვრე-ოფიცრებს დოკუმენტების საფუძვლიან შესწავლასა და მათი ნამდვილობის განსაზღვრაში დაეხმარება.

აღნიშნული აღჭურვილობა IOM-მა შეიძინა პროექტის – „საქართველოში საზღვრისა და მიგრაციის მართვის მდგრადობის უზრუნველყოფა (SBMMG)“ – ფარგლებში, რომლის მიზანია საქართველოს მთავრობის შესაძლებლობების გაძლიერება ინტეგრირებული საზღვრის მართვისა და მიგრაციის მართვის მიმართულებით, ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული სათანადო ხელშეკრულებებისა და სამოქმედო გეგმების, განსაკუთრებით, ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ევროკავშირს შორის მრავალწლიანი მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამინისტროს შესაძლებლობების გაძლიერებას.

პოლიციამ ფოთში ერთი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ფოთის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1963 წელს დაბადებული ჰ.კ. ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით ფოთში დააკავეს.

დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სამართალდამცველებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას, ნივთმტკიცების სახით ამოიღეს: კალაშნიკოვის სისტემის „აკ-74“-ის მოდელის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდი, 45 საბრძოლო ვაზნა, მაყუჩი, რეზინის ერთჯერადი ხელთათმანი, ნაჭრის ნიღაბი და 2 წებოვანი ლენტი.

გამოძიება მიმდინარეობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, რაც ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა– ტარებას გულისხმობს.

ბაქო ერევანს მეცამორის ატომურ ელექტროსადგურზე დარტყმით დაემუქრა

ფაშინიანი: „ეს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული განცხადებაა“

აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტრომ 16 ივლისს სომხეთი გააფრთხილა, რომ აზერბაიჯანზე შეტევის შემთხვევაში სომხეთის ატომურ ელექტროსადგურზე საპასუხო დარტყმას განახორციელებს.

მანამდე მედიასა და სოციალურ ქსელებში გავრცელდა ვარაუდი, რომ ერევანმა, შესაძლოა, შეტევა განახორციელოს აზერბაიჯანში მდებარე მინგეჩევირის წყალსაცავზე.

ბაქოში განაცხადეს, რომ ფლობენ ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის თანამედროვე საშუალებებს და მოწინააღმდეგე ვერ შეძლებს რაკეტის გაშვებას მათი სტრატეგიული ობიექტის მიმართულებით.

– ამავდროულად, სომხურმა მხარემ არ უნდა დაივიწყოს, რომ უახლეს სისტემებს, რომლებიც ჩვენი არმიის შეიარაღებაშია, მაღალი სიზუსტით შეუძლია მეცამორის ატომურ ელექტროსადგურზე დარტყმის მიყენება, რაც სომხეთისთვის უდიდესი ტრაგედია იქნება, – განაცხადა აზერბაიჯანის თავდაცვის სამინისტროს პრეს-სამსახურის ხელმძღვანელმა, პოლკოვნიკმა ვაგიფ დარგიახლიმ.

მეცამორის ატომური ელექტროსადგური ერევნის დასავლეთით 36 კმ-ის მოშორებით მდებარეობს. ის გამოიმუშავებს სომხეთის მთელი ელექტროენერგიის მესამედს.

სომხეთის თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა არწრუნ ოვანისიანმა აზერბაიჯანის განცხადებას მეცამორის აეს-ზე შესაძლო თავდასხმის შესახებ კონკრეტული დანაშაული უწოდა.

მეცამორზე სარაკეტო თავდასხმის შესახებ განცხადება კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად ჩათვალა სომხეთის პრემიერმა ნიკოლ ფაშინიანმა.

– უნდა გამოვიდეთ ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის შესახებ მხოლოდ განცხადებების გაკეთების წრიდან და უნდა შეიქმნას ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმის დაცვის მონიტორინგის სანდო საერთაშორისო სისტემა, – განაცხადა მან ქვეყნის თავდაცვის უწყებაში გამართულ შეხვედრაზე.

პრემიერმა აზერბაიჯანული მხარე ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევასა და სომხეთის წინააღმდეგ აგრესიაში კიდევ ერთხელ დაადანაშაულა.

– ჩვენი ამოცანაა, უზრუნველვყოთ ჩვენი სუვერენიტეტის, ჩვენი საზღვრების, ჩვენი ქვეყნისა და ხალხის უსაფრთხოების დაცვა და ხელი შევუწყოთ გლობალურ უსაფრთხოებას. ბოლო დღეებში ცხადი გახდა, რომ აზერბაიჯანი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ სომხეთს, არამედ გლობალურ უსაფრთხოებას. აზერბაიჯანელმა ოფიციალურმა პირმა რამდენიმე დღის წინ აღნიშნა, რომ მათ ქვეყანას მეცამორის ატომურ ელექტროსადგურზე სარაკეტო თავდასხმის განხორციელება შეუძლია. სომხეთს შეუძლია, უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოების, მათ შორის, მეცამორის ატომური ელექტროსადგურის დაცვა, მაგრამ ეს არის განცხადება, რომელიც ცალსახად უნდა ჩაითვალოს კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად. რადგან ეს არის კაცობრიობის წინააღმდეგ ტერორიზმის ჩადენის საფრთხე, საჭიროა შესაბამისი საერთაშორისო რეაგირება და გამოძიების ჩატარება, – განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

მისივე თქმით, ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარეობის ფორმატში გამართული მოლაპარაკებები უნდა გაგრძელდეს და აზერბაიჯანმა კონსტრუქციული პოზიცია უნდა მიიღოს.

ნანტში პეტრე-პავლეს ტაძარს ცეცხლი გაუჩნდა

საფრანგეთის ქალაქ ნანტის პროკურორი პიერ სენი წმინდა პეტრესა და პავლეს საკათედრო ტაძარში ხანძრის განზრახ გაჩენის ვერსიას არ გამორიცხავს. მისი თქმით, შესაძლოა, ხანძრის გაჩენა რადიოსადგურ ფრანს ბლუსთან იყოს დაკავშირებული.

ხანძარი სრულიად ჩააქრეს და ტაძარს ჩამონგრევის საფრთხე არ ემუქრება. ცეცხლმა ტაძრის ორღანი მთლიანად გაანადგურა. ასევე ჩამსხვრეულია შენობის წინა მხარეს მდებარე ვიტრაჟები.

საფრანგეთის ქალაქ ნანტში წმინდა პეტრესა და პავლეს სახელობის საკათედრო ტაძარში ცეცხლი გაჩნდა, რომლის ჩაქრობასაც რამდენიმე საათის განმავლობაში 100-ზე მეტი მეხანძრე ცდილობდა. საკათედრო ტაძრის მშენებლობა 1434 წელს დაიწყო და მის საბოლოოდ დასრულებას 457 წელი დასჭირდა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

ფეხმძიმე ჯიჯი ჰადიდმა მუცელი გამოაჩინა

პალესტინური წარმომავლობის ამერიკელმა სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა, რომელიც ბავშვს მომღერალ ზეინ მალიკისგან ელოდება, მუცელი პირდაპირ ეთერში გამოაჩინა.

25 წლის სუპერმოდელმა ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე პირდაპირი ტრანსლაცია გამართა და საკუთარ ფეხმძიმობასთან დაკავშირებით თაყვანისმცემლების შეკითხვებს უპასუხა. კადრებში ის აღბეჭდილია გაშლილი თმებით, თეთრ-მწვანე უჯრედებიან პერანგში გამოწყობილი. ტრანსლაციის დროს ჰადიდმა პირდაპირ ეთერში პერანგი გაიხსნა და კამერისკენ გვერდულად შეტრიალდა, რითიც საკუთარი მომრგვალებული მუცლის დემონსტრირება მოახდინა.

თაყვანისმცემლები მისმა გარეგნობამ აღაფრთოვანა და საკუთარ კომენტარებში სუპერმოდელს ფეხმძიმობა მიულოცეს.

ქალმა თამაშის უცნაური მეთოდი გამოიგონა და ლატარიის გამარჯვებული გახდა

ავსტრალიის ვიქტორიას შტატის ქალაქ მელბურნის მცხოვრებმა ქალმა ლატარიის თამაშის უცნაური მეთოდი მოიფიქრა და ჯეკპოტი მოხსნა.

ქალმა, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა, განაცხადა, რომ ყოველკვირა ტატსლოტოს ორ ლატარიის ბილეთს ყიდულობდა.

– ერთ ბილეთში ვიყენებ ოჯახის ორი წევრის დაბადების დღეებს, ხოლო მეორეში შემთხვევით ციფრებს ვწერ, – აღნიშნა ავსტრალიელმა ქალბატონმა, – ამ შემთხვევაში ვირჩევ ციფრებს რაიმეს კუპონზე ხატვით.

მორიგი ასეთი ნახატის წყალობით ქალი მილიონერი გახდა. აზარტული თამაშის მოყვარულმა 1,5 მილიონი ავსტრალიური დოლარი მოიგო.

– ღმერთო ჩემო! ერთიანად ვკანკალებ! ეს დაუჯერებელია! – წამოიძახა ლატარიის გამარჯვებულმა, როდესაც მოგების შესახებ შეიტყო, – მე და ჩემმა ქმარმა თამაშის ასეთი მეთოდი არც ისე დიდი ხნის წინ მოვიფიქრეთ, უბრალოდ, გასართობად, მაგრამ შემდეგ ჩვევად გადაგვექცა.

ქალის თქმით, პირველ რიგში, ის და მისი მეუღლე აპირებენ სახლის ყიდვას, შემდეგ კი – დასვენებას მექსიკაში, რომელიც ოცნებად ჰქონდათ გადაქცეული.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

უკმაყოფილო მომხმარებელმა ავტოგასამართ სადგურზე გველები შეყარა

ინდოეთის გუჯარათის შტატის ქალაქ ბულდახანაში უკმაყოფილო მომხმარებელმა ავტოგასამართ სადგურზე ხუთი სახიფათო გველი, მათ შორის, ორი კობრა შეყარა. ამის ამსახველი სათვალთვალო კამერების მიერ გადაღებული ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო სააგენტომ საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა.

მამაკაცი გველების ტომრით ავტოგასამართ სადგურზე მისი დახურვიდან ერთ საათში მივიდა. ის შეეცადა ბენზინი შეეძინა, მაგრამ უარი მიიღო. გაცხარებული კამათის შემდეგ მან გველები ტომრიდან იმ განზრახვით გადმოყარა, რომ ისინი ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლებს დაკბენდნენ, თავად კი მიიმალა.

ავტოგასამართი სადგურის თანამშრომლებმა შენობის დროულად დატოვება მოასწრეს. ქვეწარმავლების თავიდან მოსაშორებლად ობიექტის მფლობელს გველებზე მონადირის გამოძახება დაჭირდა. მამაკაცს კი, რომელმაც ავტოგასამართ სადგურზე გველები შეყარა, პოლიცია ეძებს.

შუა საუკუნეების მონეტამ განძის მაძიებელი გაამდიდრა

აუქციონზე წარმატებულმა ვაჭრობამ ბრიტანეთის ნორტ-იორკშირის მკვიდრი მოყვარული განძის მაძიებელი, რომელმაც უიშვიათესი შუა საუკუნეების მონეტა იპოვა, გაამდიდრა.

მონეტა იპოვა 66 წლის მამაკაცმა, რომელიც 30 წლის განმავლობაში ლითონმაძიებელი მოწყობილობის დახმარებით ცდილობდა განძის პოვნას. სპეციალისტების დასკვნით, მონეტა XII საუკუნეშია მოჭრილი, როდესაც ინგლისში შიდა ომები მიმდინარეობდა, რომელიც „ანარქიის“ სახელწოდებითაა ცნობილი.

მონეტის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ ის გამოუშვა არა მონარქმა, არამედ იორკშირის ბარონმა რობერტ დე სტიუტვილმა. დღემდე ასეთი მხოლოდ ოთხი მონეტის არსებობა იყო ცნობილი, ამასთან უკანასკნელი ას წელზე მეტი ხნის წინ იპოვეს.

ექსპერტები ვარაუდობდნენ, რომ მონეტა აუქციონზე ექვსი ათას ფუნტ სტერლინგად გაიყიდებოდა, თუმცა საბოლოოდ ვაჭრობის შედეგად ის თითქმის სამჯერ მეტ ფასად გაიყიდა. შუა საუკუნეების მონეტის მფლობელი კერძო კოლექციონერი გახდა, რომელმაც მასში 17 ათასი ფუნტი სტერლინგი გადაიხადა.

სპორტი

შენგელია ბასკებს დაემშვიდობა

თორნიკე შენგელია ესპანურ ბასკონიას პრესკონფერენციით დაემშვიდობა. ბასკეთში გატარებული 6 წლის შემდეგ საქართველოს ნაკრების კაპიტანი რუსეთში მიემგზავრება.

თორნიკე შენგელია:

– ბასკონიის ფანების სიყვარულს ყოველთვის ვგრძნობდი, მაგრამ ამაზე უკეთეს დამშვიდობებას ვერც კი წარმოვიდგენდი. ყველაფერი გავიღე ამ კლუბისათვის და კლუბმაც ყველაფერი გაიკეთა ჩემთვის. ვიმედოვნებ, რომ ბასკონია კვლავ მაღალ დონეზე იასპარეზებს, რადგან კლუბი ამას იმსახურებს. ბასკონია ჩემი მეორე სახლია.

პრესკონფერენციაზე ქართველ ექსკაპიტანთან ერთად ბასკონიის სპორტული დირექტორი ფელიქს ფერნანდესი იმყოფებოდა, რომელმაც შენგელიას „ბასკონიის სიმბოლო“ უწოდა და ბოლოს კლუბის მაისურით დააჯილდოვა, რომელზეც 318 წერია. ზუსტად ამდენი მატჩი ითამაშა თორნიკე შენგელიამ ბასკონიის რიგებში და ახლა მოსკოვის ცსკა-სთვის გაირჯება.

შეგახსენებთ, რომ თორნიკე შენგელიას ტრანსფერი მოსკოვის ცსკა-ში ოფიციალურად 9 ივლისს გამოცხადდა, მას მერე, რაც ბასკონია ესპანეთის ჩემპიონი გახდა. ტრანსფერმა საქართველოში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია.

შენგელიამ რუსულ კლუბში მის გადასვლასა და ამით გამოწვეულ აჟიოტაჟზე კიდევ ერთხელ ისაუბრა:

– თავს კარგად ვგრძნობ. ეს ამბები ჩემზე დიდ ზეგავლენას ვერ ახდენს, რადგანაც გვერდში მყავს ოჯახი და ის ადამიანები, რომლებმაც იციან, ვინ ვარ. თუკი მე არ მიცნობთ, არ გაქვთ მიზეზი, რომ მაკრიტიკოთ.

ბარსელონას ბლანი შესთავაზეს

აშკარად მოულოდნელ და სენსაციურ ამბავს ავრცელებს ესპანური მედია – შესაძლოა, მომავალი სეზონიდან ბარსელონა ლორან ბლანმა ჩაიბაროს.

საფეხბურთო საზოგადოება თითქმის უკვე შეგუებული იყო, რომ გუნდის საჭეს ხავი ერნანდესი ჩაიბარებდა. მაშ საიდან ლორან ბლანი? ამბობენ, რომ ეს მისი ყოვლისშემძლე აგენტის, ჟორჟე მენდეშის კომბინაციაა. მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი აგენტი ბლანის შრომით მოწყობაზე ფიქრობს.

როგორც ირკვევა, მსოფლიოში ცნობილმა საფეხბურთო აგენტმა ბარსელონას ბლანის კანდიდატურა შესთავაზა.

შეგახსენებთ, რომ ბარსას 61 წლის კიკე სეტიენი ხელმძღვანელობს, რომელმაც პანდემიის შემდეგ განახლებულ ლა ლიგაში ლიდერობის შენარჩუნება ვერ შეძლო და ტიტული ზინედინ ზიდანის რეალს გადაულოცა. მისი მომავალი კატალონიურ გრანდში ბუნდოვანია.

ფრანგულ მედიას თუ დავუჯერებთ, ლორან ბლანის კანდიდატურა მენდეშმა ჯერ ვალენსიას შესთავაზა, რომელიც რამდენიმე დღის წინ უმწვრთნელოდ დარჩა.

54 წლის ლორან ბლანს ბორდოში, საფრანგეთის ეროვნულ ნაკრებსა და პარი სენ-ჟერმენში უმუშავია. მას წინადადება ფენერბაჰჩედან და გაერთიანებული საამიროებიდან ჰქონდა, მაგრამ ფრანგს იქ მუშაობა არ სურს. ლორან ბლანი ფეხბურთელობისას ცენტრალური მცველი იყო, მან ნაკრებში 97 მატჩში 16 გოლი გაიტანა. ნაკრების რიგებში ის მსოფლიოსა (1998) და ევროპის (2000) ჩემპიონი გახდა.

ბარსელონა ლორან ბლანისთვის სულაც არ არის უცხო კლუბი, 1996 წელს ის ოსერიდან სწორედ კატალონიაში გადავიდა (28 თამაში, 1 გოლი). ბარსას რიგებში მან კოპა, სუპერკოპა და უეფას თასი მოიგო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

საზოგადოება

ქეთევან კიკნაძე დენდროლოგიური პარკით აღფრთოვანებულია

მსახიობი ქეთევან კიკნაძე შეკვეთილში გახსნილი დენდროლოგიური პარკით აღფრთოვანებულია:

– ვზივარ, ვუყურებ ტელევიზორს, აჩვენებენ დენდროლოგიურ პარკს, ცხარე ცრემლებით ვტირივარ, ამას რას ხედავს ჩემი თვალები, რა შრომაა ჩადებული. ეს რა სილამაზეა. მსოფლიო მაქვს შემოვლილი და მსგავსი არაფერი მინახავს. ეს ულამაზესი ფრინველები, ეს ხომ ჩვენთვის არის შექმნილი. ვისაც ამის დანახვა არ უხარია, რა უნდა ვთქვა, არც კი ვიცი. თითოეული ფოთოლი რომ ღირებულია, მადლობა ბიძინა ივანიშვილს, მადლობა ცოტაა, მაგრამ, რას ვიზამთ, გაიხარე, ჩემო ბიძინა, არასოდეს გაგიცია პასუხი ბოროტებისთვის, შენ მხოლოდ დაგაკისრა ღმერთმა სიკეთე, რომელსაც პირნათლად ასრულებ, იმრავლოს შენმა მონაგარმა. გაგაძლიეროს უფლის სიყვარულმა და შენი ქვეყნის ერთგულებამ, შენ დაიბადე შენი ქვეყნის სიძლიერისთვის, სიცოცხლისა და სიყვარულისთვის, დიდო მამულიშვილო! იყავი მუდამ!

რეჟისორი ზურა ხვედელიძე გარდაიცვალა



65 წლის ასაკში რეჟისორი ზურა ხვედელიძე გარდაიცვალა.

სამწუხარო ინფორმაცია ფოლკლორის ცენტრმა გაავრცელა:

– 65 წლის იუბილედან ორიოდე კვირაში მოგვიწია ზურა ხვედელიძესთან გამომშვიდობება.

ხელოვანის, რეჟისორის, თეატრალის მოღვაწეობა ხალხური შემოქმედების სახლში დაიწყო და 40 წელზე მეტი ემსახურა სახალხო თეატრების – უძველესი ქართული პირველყოფილი კულტურის – მოვლის, შენარჩუნებისა და აღორძინების დიდებულ საქმეს.

ზურა 32 წელი იდგა იქ, სადაც საჭირო იყო და აკეთებდა მისთვის ყველაზე საყვარელ საქმეს. ხელოვანისა და მისი დასის დამსახურებაა, რომ ქვემო ქართლის საუკუნოვანი თეატრის სცენიდან „კვლავ გაისმოდა სიტყვა ქართული რუსთაველისა“.

50-ზე მეტი სპექტაკლის რეჟისორი წლების განმავლობაში უტრიალებდა ამ რეგიონისათვის უმნიშვნელოვანეს ყურბან საიდის მსოფლიო ბესტსელერ „ნინო და ალის“. მას ძალიან უნდოდა, გაეცოცხლებინა და სახალხო ზეიმად ექცია ქართულ ფესვებზე ამოზრდილი იოსებ მჭედლიშვილის „ოიანა-ბუიანა“...

მშვიდი, წყნარი, სიყვარულითა და სიკეთით სავსე წავიდა ამქვეყნიდან. რვა თქვე ებრძოდა უკურნებელ სენს და აღმოაჩნდა უიშვიათესი ძალა, დაეძლია „ადამიანად არყოფნის სევდა“.

დიდებული ოჯახი და სანათესაო, ჩინებული მეგობრები და უსაყვარლესი საქმე, თავისი ხელოვნების უამრავი თაყვანისმცემელი და დამფასებელი – ერთ კაცს მეტი არ მოეთხოვება... ყველას თანავუგრძნობთ და ვუსამძიმრებთ...

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს“, რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

საბურთალოს მოგება წაართვეს

თელავი-ჩიხურა 2:0

თელავი. კავკასიონი არენა

1:0 ნ.ბაშელეიშვილი (7), 2:0 ჩუკვურა (84)

თელავი: სანიკიძე, თოლორდავა, ბერიაშვილი, ჩუკვურა, ძოწენიძე, ჩაბრაძე, ვარშანიძე, ნ.ბაშელეიშვილი (რუხაძე 57), მოსიაშვილი, კოხრეიძე (მ. ბაშელეიშვილი 85), სამუშია (კვასოვი 71)

ჩიხურა: ბეგაშვილი, მაჩაიძე, კაშია, კორიფაძე, ჯავაშვილი, ჩიკვაიძე, გვაზავა, კახაბრიშვილი, წიქარიძე (კიკაბიძე 72), დეკანოიძე (ღავთაძე 77), მუჯირი (ბუხაიძე 61)

ეროვნული ლიგის მე-6 ტური თელავისა და ჩიხურას მატჩით გაიხსნა. საბურთალოსთან წაგებული შეხვედრის შემდეგ რევაზ გოცირიძის გუნდმა ისევ მოიპოვა გამარჯვება. კახელებმა საჩხერის ჩიხურას 2:0 მოუგეს.

ანგარიში მასპინძლებმა დებიუტშივე გახსნეს: მე-7 წუთზე გრიგოლ ჩაბრაძის აქტიურობის შემდეგ ნიკოლოზ ბაშელეიშვილმა გაიტანა.

გაშვებული გოლის შემდეგ სტუმრები გააქტიურდნენ და თამაშის პირველ ნახევარში რამდენიმე ძალიან სახიფათო მომენტიც შექმნეს, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერ მოახერხეს.

მე-2 ტაიმში სცენარი შეიცვალა. მასპინძლებმა ჩიხურას ფეხბურთელებს სივრცეები შეუზღუდეს და, შესაბამისად, ვახტანგ თურმანიძის გუნდი თავისუფლად ვეღარ გადადიოდა მეტოქის ნახევარზე. მატჩის მიმდინარეობიდან და სახიფათო მომენტებიდან კარგად იკითხებოდა, რომ თელავის მხრიდან მე-2 გოლის გატანა დროის საკითხი იყო. მატჩის 84-ე წუთზე მასპინძელთა ლეგიონერმა რაფაელ ჩუკვურამ საჩხერელთა კარი აიღო და საბოლოო შედეგიც დაფიქსირა.

საბურთალო-ლოკომოტივი 0:0

თბილისი. მიხეილ მესხი

საბურთალო: კუპატაძე, მარგველაშვილი, გრიგალაშვილი (მაჭარაშვილი 46), ჭიჭინაძე, კაკუბავა, ბელიაევი (ცნობილაძე 46), ტერა, ალთუნაშვილი, ტაბატაძე, კოხრეიძე, ქავთარაძე (ლუმუ 71)

ლოკომოტივი: მამარდაშვილი, გურეშიძე, ანდრონიკაშვილი, გაბაძე, უბილავა, დარცმელია, შონია, სამურკასოვი (შეყილაძე 65), კირკიტაძე (ძებნიაური 78), სიხარულიძე, არველაძე (გავაშელიშვილი 56)

გაძევება: გურეშიძე (89)

მატჩი გატანილი გოლის გარეშე დასრულდა. უფრო სწორად, გოლი კი გავიდა, მაგრამ...

პირველ ტაიმში თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა, მაგრამ გუნდებმა თითო მწვავე მომენტი მაინც გაცვალეს. მე-2 ტაიმში კი მასპინძლებმა უხშირეს შეტევებს და სტუმრებს სულ უფრო უჭირდათ მათი შეტევების მოგერიება.

მასპინძელთა შეტევებმა შედეგი გამოიღო. 78-ე წუთზე გაიტანეს კიდეც – ლუმუს ჯარიმის შემდეგ ბურთი მეკარე მამარდაშვილმა მოიგერია, თუმცა ლევან კაკუბავამ თავით დაამატა და გოლი გავიდა... მსაჯმა ჩათვალა, რომ ბურთს ხაზი არ გადაუკვეთია, არადა, შეუიარაღებელი თვალითაც ჩანდა, რომ გოლი იყო... საბურთალოს აშკარა 3 ქულა წაართვეს.

მატჩის ფინიშზე ლოკომოტივი სულაც კაცნაკლული დარჩა – არბიტრმა უხეშობისთვის სანდრო გურეშიძე გააძევა. თუმცა, ათნი დარჩნენ საბურთალოელებიც, რადგან ამავე ეპიზოდში დაშავებულმა გიორგი კოხრეიძემ თამაში ვეღარ გააგრძელა.

საბოლოოდ, ანგარიში აღარ შეცვლილა – 0:0. გიორგი ჭიაბრიშვილმა ლოკომოტივთან ერთად პირველი ქულა მოიპოვა.

დინამო (ბთ)-ტორპედო 2:0

ბათუმი. ანგისა

1:0 ფლამარიონი (35), 2:0 მანჯგალაძე (88)

დინამო: ალავიძე, ნავალოვსკი, კობახიძე (ობაობონა 86), მელიავა, გაგოშიძე, ჯიღაური, ტეიდი, მანჯგალაძე, მამუჩაშვილი, ფლამარიონი (რეინალდო 89), ნიქაბაძე (გონსალვესი 61)

ტორპედო: შოვნაძე, ტაბატაძე, კასრაძე, ნადარაია, ადამაძე, მარკოვიჩი, ბობკო (კვერნაძე 87), ჯანელიძე, ივანიშვილი (შარვაშიძე 77), ციცქიშვილი, ფანცულაია (პონომარი 72)

ზედიზედ 4 ფრეს შემდეგ ბათუმის დინამომ ორი მატჩი მოიგო. მე-6 ტურის შეხვედრაში გია გეგუჩაძის გუნდმა ქუთაისის ტორპედოს 2-ბურთიანი სხვაობით სძლია.

დაპირისპირებაში ანგარიში ბათუმელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ჯოვინო ფლამარიონმა 35-ე წუთზე გიული მანჯგალაძის პასით გახსნა. მე-2 ბურთი კი მატჩის მიწურულს თავად მანჯგალაძემ გაიტანა და საბოლოო შედეგიც დააფიქსირა.

უქმად არც ტორპედო ყოფილა – ამ გოლებს შორის რამდენიმე მომენტი შექმნა. ერთ მომენტში მიხეილ ალავიძემ გადაარჩინა ზღვისპირელები, როდესაც გიორგი ივანიშვილის ახლოდან დარტყმული ბურთი საოცარი რეაქციით მოიგერია.

გეგუჩაძის გუნდს 10 ქულა გაუხდა და ლიდერებში გაერია.

მერანი (თბ)-სამტრედია 1:2

თბილისი. მიხეილ მესხი 2

1:0 თევზაძე (8), 1:1 კერძევაძე (49), 1:2 ყურბანოვი (54პ)

მერანი: თევდორაძე, გაფრინდაშვილი, ფოფხაძე, თევზაძე, ვასაძე (მიქაბერიძე 68), კახელიშვილი (დათუნაიშვილი 48), მახარობლიძე, გაბისკირია, კაკაშვილი, სარდალიშვილი, ნაჭყებია (ხაბულიანი 70)

სამტრედია: სეფიაშვილი, რუხაია, კილასონია, ახალაძე, სამბუ, ფერეირა (კვირკვია 46), ყურბანოვი, მესიაჩენკო (კერძევაძე 49), დისი (ქოჩლაძე 90), ჰავიშიჩი, იმნაძე

პანდემიით გამოწვეული პაუზის შემდეგ კრისტალბეთ ეროვნულ ლიგაში პირველი გამარჯვება მოიპოვა სამტრედიამ. კახი კაჭარავას გუნდმა სტუმრად მერანი დაამარცხა – 2:1.

არადა, ანგარიში დედაქალაქელებმა მე-7 წუთზე წუთზე ზურაბ თევზაძის გატანილი გოლით გახსნეს. თუმცა, მე-2 ტაიმში თამაშის სცენარი მთლიანად შეიცვალა. სტუმრებმა უპირატესობის მოპოვება და გოლის გატანა მოახერხეს – შოთა კერძევაძემ და ნიჯატ ყურბანოვმა (პანალტით) შეაგდეს.

იმერელთა აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა გატანილი გოლი სამხედრო ჟესტით აღნიშნა და როგორც თავად თქვა, ამ დღეებში აზერბაიჯანი-სომხეთის დაპირისპირებაში დაღუპულ მებრძოლებს მიუძღვნა.

სამტრედიამ მნიშვნელოვანი 3 ქულა მოიპოვა და სატურნირო ცხრილში სიტუაცია გამოიკეთა.

სატურნირო ცხრილი:

1.დილა	5	3	2	0	10-2	11
2.დინამო (ბთ)	6	2	4	0	9-4	10
3.დინამო (თბ)	5	2	3	0	8-1	9
4.თელავი	6	2	3	1	7-4	9
5.საბურთალო	6	2	3	1	4-5	9
6.სამტრედია	6	2	2	2	6-8	8
7.ლოკომოტივი	6	2	2	2	8-11	8
8.ტორპედო	6	1	2	3	4-7	5
9.მერანი	6	0	3	3	2-9	3
10.ჩიხურა	6	0	2	4	4-11	2

იუვენტუსი დიდ სატრანსფერო პოლიტიკას იწყებს

იტალიური მედიის ცნობით, ტურინის იუვენტუსი დიდი სატრანსფერო პოლიტიკისთვის ემზადება.

როგორც ჩანს, გუნდში ტოტალური ცვლილებებია მოსალოდნელი, რადგან ხელმძღვანელობას სურს მაურისიო სარისთვის იმ ფეხბურთელების მიყვანა, რომლებიც მწვრთნელის მოთხოვნებს დაკმაყოფილებენ.

გონსალო იგუაინი, ფედერიკო ბერნარდესკი, დანიელე რუგანი, ბლეზ მატუიდი, სამი ხედირა და მატია დე შილიო გუნდს უახლოეს პერიოდში დატოვებენ.

ლუკა პელეგრინი და კრისტიან რომერო, რომლებიც „ბიანკონერის“ საკუთრებაში შედიან და დღეისათვის სხვადასხვა კლუბში იჯარით ირჯებიან, ასევე დატოვებენ შავთეთრთა რიგებს.

მათთან დაკავშირებით ჯერ კონკრეტული სიახლე არ არის, მაგრამ მათი გასხვისება მოხდება პირდაპირი გზით ან რომელიმე გარიგებაში ბარტერის სახით. თუმცა, ერთია მათი სურვილი და მეორეა, რამდენად შესაძლებელია ასეთი გაყიდვების განხორციელება.

დღეისათვის თითოეული მათგანი ტურინში საკმაოდ კარგ ანაზღაურებას იღებს და, აქედან გამომდინარე, ფეხბურთელებთან შეთანხმების მიღწევა ფრიად გაჭირდება.

მედიაში ასევე საუბარია იმ ფეხბურთელებზე, რომლებსაც „ბიანკონერის“ მომავალს უკავშირებენ.

დაცვის ფლანგები ტურინელთათვის აქილევსის ქუსლია და ფაბიო პარატიჩი მის გაძლიერებას გეგმავს. შესაბამისად, 2 კანდიდატიც შეურჩევია.

პირველი მათგანი ყველასათვის კარგად ნაცნობი ემერსონ პალმერია, რომელიც 25 მილიონად ფასობს, მეორე კი, სიმპათიური ატალანტას გერმანელი რობინ გოსენსი, რომელსაც 30 მილიონად აფასებენ.

კიდევ ერთი მცველი მადრიდის რეალის ბრაზილიელი მარსელოა, რომლის დამატება იუვეს უკვე არაერთი სეზონია სურს. თუ კულუარულ ცნობებს დავუჯერებთ, მხარეებს შორის კონტაქტი დაწყებულია.

არანაკლები სიტუაციაა შუა ხაზზეც: სკაი სპორტის მტკიცებით, ლაციოს სერბმა ნახევარმცველმა სერგეი მილინკოვიჩ-სავიჩმა კლაუდიო ლოტიტოს პირადი თხოვნით მიმართა, რომ სეზონის ბოლოს წასვლის საშუალება მისცეს. დღეისათვის მისთვის პსჟ, მანჩესტერ იუნაიტედი და იუვენტუსი იბრძვიან. საორიენტაციო ღირებულება 80 მილიონი ევროა.

ნახევარდაცვაში იუვენტუსი და ინტერი ერთმანეთს სანდრო ტონალისა და ნიკოლო ძანიოლოს თაობაზე ეცილებიან.

ახლა თავდასხმა: კორიერო დელო სპორტის მტკიცებით, იუვენტუსსა და ატალანტას შორის უკვე დაწყებულია მოლაპარაკებები დუვან ძაპატას თაობაზე. კოლუმბიელი ფორვარდი ტურინელთათვის იდეალურ კანდიდატად სახელდება, რომელიც გონსალო იგუაინს ჩაანაცვლებს. ბიანკონერი მზადყოფნას გამოთქვამს, მის სანაცვლოდ 30 მილიონი ევრო და მატია პერინის სატრანსფერო უფლებები შესთავაზოს.

ალტერნატიულ ვარიანტებად გაბრიელ ჯესუსი და არკადიუშ მილიკი სახელდებიან.

ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

18 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

არსენალი-სიტი 2:0

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲘᲠᲩᲔᲚᲘᲒᲐ

ნორვიჩი-ბარნლი 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.ლივერპული	36	30	3	3	77-29	93
2.სიტი	36	24	3	9	93-35	75
3.ჩელსი	36	19	6	11	64-49	63
4.ლესტერი	36	18	8	10	67-36	62
5.მანჩესტერი	36	17	11	8	63-35	62
6.ვულვზი	36	14	14	8	49-38	56
7.ტოტენჰემი	36	15	10	11	57-46	55
8.შეფილდი	36	14	12	10	38-35	54
9.ბარნლი	37	15	9	13	42-48	54
10.არსენალი	36	13	14	9	53-45	53
11.ევერტონი	36	12	10	14	42-53	46
12.საუთჰემპტონი	36	13	7	16	46-59	46
13.ნიუკასლი	36	11	10	15	37-55	43
14.კრ.პალასი	36	11	9	16	30-47	42
15.ვესტ ჰემი	36	10	7	19	47-60	37
16.ბრაიტონი	36	8	13	15	37-53	37
17.უოტფორდი	36	8	10	18	34-57	34
18.ბორნმუთი	36	8	7	21	37-62	31
19.ასტონ ვილა	36	8	7	21	39-66	31
20.ნორვიჩი	37	5	6	26	26-70	21

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ. ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲝᲜᲘᲒᲐ

სტოკი-ბრენტფორდი 1:0
ჩარლტონი-უიგანი 2:2
ბლექბერნი-რედინგი 4:3
ქპრ-მილუოლი 4:3
მიდლსბრო-კარდიფი 1:3
პრესტონი-ბირმინგემი 2:0
სუონსი-ბრისტოლი 1:0
ფულემი-უენსდი 5:3
ჰალი-ლუთონი 0:1

ᲘᲢᲐᲚᲘᲐ. ᲡᲔᲘᲐ Ა

ვერონა-ატალანტა 1:1
კალიარი-სასუოლო 1:1
მილანი-ბოლონია 5:1

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	33	24	5	4	70-35	77
2.ატალანტა	34	21	8	5	94-44	71
3.ინტერი	33	21	8	4	72-34	71
4.ლაციო	33	21	6	6	68-35	69
5.რომა	33	17	6	10	61-44	57
6.მილანი	34	16	8	10	53-43	56
7.ნაპოლი	33	15	8	10	53-44	53
8.სასუოლო	34	13	9	12	63-58	48
9.ვერონა	34	11	12	11	42-42	45
10.ბოლონია	34	11	10	13	48-57	43
11.კალიარი	34	10	12	12	49-50	42
12.პარმა	33	11	7	15	45-47	40
13.ფიორენტინა	33	9	12	12	41-45	39
14.სამპდორია	33	11	5	17	42-54	38
15.ტორინო	33	11	4	18	41-60	37
16.უდინეზე	33	9	9	15	31-46	36
17.ჯენოა	33	7	9	17	40-63	30
18.ლეჩე	33	7	8	18	41-74	29
19.ბრეშა	33	5	6	22	30-70	21
20.სპალი	33	5	4	24	23-62	19

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ. ᲩᲘᲛᲔᲘᲠᲐ ᲚᲘᲒᲐ

რიუ ავე-სანტა კლარა 2:2
ფამალიკაო-ბოავიშტა 2:2

ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ

ციურიხი-იანგ ბოიზი 0:5

ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲜᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ

ასტერასი-ლამია 1:1
ატრომიტოსი-პანიონიოსი 0:0
ლარისა-ქსანთი 0:0
პანეთოლიკოსი-ვოლოსი 1:0

ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ. ᲡᲣᲞᲔᲠᲚᲘᲒᲐ

გაზიანთები-ქაშიმფაშა 2:2
გალათასარაი-გიოზთეფე 3:1

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ. ᲔᲥᲡᲢᲐᲯᲚᲐᲡᲐ

ვისლა-არკა 0:1
გურნიკი-ზაგლებიე 0:2
კორონა-ლოძი 2:0
ჩენსტოხოვა-პლოცკი 2:1

ᲜᲝᲠᲕᲔ�გᲘᲐ. ᲔᲚᲘᲢᲡᲔᲠᲘᲐ

მიონდალენი-ბოდო გლიმდტი 2:3
ჰაუგესუნდი-ვიკინგი 0:2

მოამზადა მიხეილ ყორეოლიანმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

ᲕᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲝᲗᲐᲠ ᲭᲘᲚᲐᲫᲘᲡ Ქ. №166. ᲛᲔ-10 ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ. ᲢᲔᲚ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.

ᲯᲭᲝᲡᲕᲝᲰᲘᲚᲘ Ბ



შვეულად: 1. ქართველი შტანგისტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი; 2. შენიშვნა, დამატებითი განმარტება ტექსტში; 3. ადგილი, სადაც არის ბუნებრივი პირობები მკურნალობისა და დასვენებისთვის; 4. ბარიტის საბადო რაჭაში; 5. ატომური ბომბით დანგრეული ქალაქი იაპონიაში; 6. ქვეწარმავლის შხამი; 7. გეოდეზიური საველე სახაზავი მაგიდა; 9. შტატი აშშ-ში; 13. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. მდინარის ქვიანი ნაპირი; 18. არაბეთის ზღვისპირა კურორტი ინდოეთში.

თარაზულად: 1. გარემოში საორიენტაციო ხელსაწყო; 3. დაბა დაღესტანში, ლითონის მხატვრულად დამუშავების ცენტრი; 8. ქორწინების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 10. ქართლში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ფრანგული ჯიში; 11. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 12. ლიხტენშტეინის მთავართა ტიტული; 14. იაროსლავ ჰაშეკის ნაწარმოების პოპულარული პერსონაჟი; 15. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 16. ესპანური სპორტული გაზეთი; 19. სახელმწიფო არაბეთის ნახევარკუნძულზე; 20. მსხვილი საჯარისო შენაერთი; 21. თურქი ჯარისკაცი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲯᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ:

ᲯᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ა

შვეულად: 1. ოჯალეში; 2. ტულუზა; 3. ბერიკაობა; 4. შანელი; 5. შენგელია; 7. გეთი; 11. ტელფერი; 13. სუნიზმი; 15. მუაში; 16. პარმა; 18. საბზა; 19. კიაზო.

თარაზულად: 6. ჯუნგლი; 8. კურსები; 9. მანიანი; 10. ერლიფტი; 12. ღალია; 14. ვინილი; 17. ბონისტიკა; 20. იკებანა; 21. იშხანი; 22. ზარზმა; 23. მაკარტნი.

ᲯᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ Ბ

შვეულად: 1. ბუდვაიზერი; 2. კაბურა; 3. ტავერნა; 4. რაცია; 5. ფასკუნჯი; 6. დიქტი; 7. ჰამსუნი; 9. მადერა; 13. ტენგე; 17. ნუგა; 18. არა.

თარაზულად: 1. ბამბუკი; 3. ტუბერი; 8. კადიმა; 10. გურიელი; 11. მაზდა; 12. ხარფუხი; 14. აზარტი; 15. ყვარელი; 16. ჯანღი; 19. ბოგოტა; 20. ჭიდაობა; 21. ბურახი.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ

საზოგადოება „კუს ტბა“ უღრმეს მწუხარებას გამოთქვამს უახლოესი მეგობრის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწის

ᲯᲐᲛᲑᲣᲚ ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲫᲘᲡ

გარდაცვალების გამო
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ᲡᲐᲛᲒᲚᲝᲕᲘᲐᲠᲝ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲐᲚᲝᲪᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ

ᲢᲔᲚ.: 599-532-690 – 12-ᲓᲐᲜ 17 ᲡᲐᲐᲗᲐᲛᲓᲔ

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

20 ივლისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0651

ევრო — 3.5010

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.8461

100 რუსული რუბლი — 4.2744

ამინდის პროგნოზი 20 ივლისისთვის

მოურინიო: „ზოგჯერ უსამართლოდ მაკრიტიკებენ“

ლონდონის ტოტენჰემის მთავარმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ განაცხადა, რომ მას ხშირად უსამართლოდ აკრიტიკებენ და ამას არ იმსახურებს.

მოურინიოს აზრით, ასე იმიტომ ხდება, რომ მას ნეგატიური იმიჯი აქვს:

– არ მესმის, ზოგჯერ რატომ ისმის ჩემ მიმართ საყვედურები ან კრიტიკა. შესაძლოა, ეს იმის ბრალია, რომ ჩემი კრიტიკა მოდაშია და ხალხს ეს მოსწონს. სხვა მწვრთნელებიც იმსახურებენ ზოგჯერ მსგავს მოპყრობას, მაგრამ მათ მიმართ საყვედურები არ ისმის ხოლმე.

სიმეონე: „ატლეტიკოს ტრანსფერები სჭირდება“

მადრიდის ატლეტიკოს მთავარმა მწვრთნელმა დიეგო სიმეონემ განაცხადა, რომ მის გუნდს ახალი ტრანსფერები სჭირდება იმისთვის, რომ ჩემპიონობისა და სხვა მაღალი მიზნებისთვის იბრძოლოს:

– მინდა, რომ ატლეტიკომ უფრო დიდი პროგრესი განიცადოს და მომავალში მხოლოდ უმაღლესი მიზნები გვქონდეს, ამისთვის კი ახალი ფეხბურთელები არიან საჭირო. დარწმუნებული ვარ, ხელმძღვანელობას ესმის ეს ყველაფერი და ტრანსფერებს განვახორციელებთ.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ათასობით ხოჭომ ქალი აიძულა, სახლიდან გაქცეულიყო

ტაილანდის პროვინცია ანგტხონგში ათასობით ხოჭო საცხოვრებელ სახლს დაეპატრონა და ქალი აიძულა, ქუჩაში გამოვარდნილიყო.

56 წლის სურინ იმლამაი ძალიან შეშინდა, როდესაც ათასობით ხოჭოთი აივსო მისი სახლი.

– ისინი ძალიან ბევრი იყვნენ. ვფიქრობ, მინიმუმ მილიონი, – ამტკიცებს ტაილანდელი ქალბატონი.

ქალი შეეცადა, ბინა მწერებისგან გაეწმინდა, მაგრამ ისინი კვლავ უკან ბრუნდებოდნენ. ვერ უშველა ვერც ინსეკტიციდის მოსხურებამ. ხოჭოები შხამს არაფრად აგდებდნენ და სულ უფრო მეტნი ხდებოდნენ.

იმლამაი შიშობდა, რომ ხოჭოები შესაძლოა შხამიანები აღმოჩენილიყვნენ. იმისთვის, რომ თავი დაეღწია უსიამოვნო სუნის და შესაძლო დაკბენისთვის, ქალი ნათესავთან გადავიდა საცხოვრებლად.

სკოლის მოსწავლე საშინაო დავალების შეუსრულებლობის გამო ციხეში გაუშვეს



ამერიკელი სკოლის მოსწავლე გოგონა საშინაო დავალების შეუსრულებლობის გამო ციხეში ჩასვეს.

გასულ წელს გრეისს თავდასხმა და ქურდობა დასდეს ბრალად. ის თავისუფლებაზე გამოსაცდელი ვადით დატოვეს, თუმცა მიმდინარე წლის მაისში მოსამართლემ 15 წლის გოგონა არასრულწლოვანი კანონდამრღვევების ცენტრში გაამწესა, ვინაიდან ჩათვალა, რომ საშინაო დავალების შეუსრულებლობა პირობების დარღვევას წარმოადგენდა.

მიჩიგანის შტატის კანონმდებლები და აღმასრულებელი ხელისუფლება გრეისის გათავისუფლებისთვის იბრძვიან. მათ სასამართლოს გადაწყვეტილება შემაშფოთებლად მიიჩნიეს. აღსანიშნავია, რომ გოგონას ყურადღების დეფიციტის სინდრომი აწუხებს და მისთვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ონლაინსწავლება, რომელზეც სასწავლო დაწესებულებები კორონავირუსის პანდემიის გამო გადავიდნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 ივლისისთვის

ვერძი – ეს დღე შესაფერისია ფიზიკური დატვირთვისა და სუფთა ჰაერზე სეირნობისათვის. მერკურის მფარველობის მეოხებით ფინანსური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ. **კურო** – განიწმინდეთ სულიერად და ხორციელად. მიუტევეთ. გელით საინტერესო და ხელსაყრელი შემოთავაზება. **ტყუპები** – კრიტიკული დღეა. ბევრი რამ იცვლება. ნებისმიერი კომერციული ოპერაციის განხორციელებამდე კარგად დაფიქრდით. **კირჩხიბი** – კვლავ დაძაბული ხართ. საკუთარი პოზიციების მტკიცედ დაცვა აუცილებელია. **ლომი** – ქალაქგარეთ გასვლა გეკრძალებათ. ეს დღე ოჯახს მიუძღვენით. იფრთხილეთ, დიდია ტრავმის მიღების ალბათობა. **ქალწული** – საკუთარი შეცდომების აღიარებისა და გაანალიზების დროა. ნებისმიერი რისკი გაუმართლებელია. **სასწორი** – გრძელვადიანი გეგმების კორექტირება მოგიწევთ. იოლად ნურავის მიენდობით. **ღრიანკალი** – დაწყებულ საქმეზე ან შემოთავაზებაზე, შესაძლოა, უარი თქვათ. გეგმები გეცვლებათ. **მშვილდოსანი** – ცდუნებას არ აჰყვეთ. ნებისმიერ სიტუაციაში ნებისყოფა და თავშეკავება გმართებთ. **თხის რქა** – დაკისრებული მოვალეობები ძალიან დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით შეასრულეთ. სასიყვარულო პაემანი იმედს გაგიცრუებთ. **მერწყული** – ცხოვრების თითქმის ყველა სფეროში ცვლილებებია მოსალოდნელი. საკუთარი გეგმების რეალიზებაში ხელს არაფერი გიშლით. **თევზები** – ენერგეტიკული აღმავლობის დღეა. თქვენი ენთუზიაზმი ნაყოფიერ შედეგს გამოიღებს. ოცნება გისრულდებათ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ჩემმა ცოლმა გასახდომად ცხენოსნობაზე დაიწყო სიარული...

– მერე?

– ცხენმა 10 კილო დაიკლო.

•••

კაცი ქალს ეკითხება:

– ქალბატონო, რას იფიქრებდით ჩემზე, თქვენთვის ჰაეროვანი კოცნა რომ გამომეგზავნა?

– რომ უზარმაცესი ხართ!

•••

ბიჭი გოგოს ეუბნება:

– ისე მიყვარხარ, ისე, რომ მზად ვარ, შენი სახელი ჩემს სახლზე დავწერო!

– თუ მართლა მასე გიყვარვარ, ჯობია, შენი სახლი ჩემს სახელზე გადმოწერო.

•••

ორი ნაცნობი საუბრობს. ერთი მეორეს ეუბნება:

– ცოლი გამშორდა და ერთი თეთრიც არ დამიტოვა, მთელი ფული წაიღო.

– ჩემმაც უფულოდ დამტოვა, მაგრამ არსად წასულა ის შობელძაღლი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

დუნდულებზე ჩაჭრილი ჯინსები ზაფხულის ახალ მოდურ ტენდენციად იქცა

დუნდულებზე ჩაჭრილი ჯინსები ცნობილ ადამიანებს შორის 2020 წლის მოდის ახალ ტენდენციად იქცა.

საუბარია მოდელზე სახელწოდებით Peekaboo pants. პირველმა ასეთი შარვალი კიმ კარდაშიანის დამ კაილი ჯენერმა მოირგო. ფოტოგრაფმა ის ზურგის მხრიდან მუქი ლურჯი ფერის ჯინსებით და ხელში გუჩის ხელჩანთით დააფიქსირა.



გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფოტოსურათის სოციალურ ქსელებში გამოქვეყნების შემდეგ, იქვე გაჩნდა გაკვეთილები იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება სახლის პირობებში ასეთივე შარვლის დამზადება.

აღსანიშნავია, რომ ასეთი შარვლები უკვე გამოჩნდა ისეთი პოპულარული ბრენდების ასორტიმენტში, როგორებიცაა: PrettyLittleThing, Revolve, Ksubi, Revice და One Teaspoon-ი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბუბა კიკაბიძე 82 წლის გახდა

მომღერალი და მსახიობი ბუბა კიკაბიძე 82 წლის გახდა. პანდემიის გამო ხელოვანმა დაბადების დღე მოკრძალებულად აღნიშნა.

ქართულ კინოსა და ესტრადაზე წარმატებული კარიერის წყალობით ბუბა კიკაბიძემ ათასობით გულშემატკივარი გაიჩინა როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ.

ხელოვანმა 2008 წლის ომის შემდეგ უარი განაცხადა რუსეთში ჩასვლასა და კონცერტების ჩატარებაზე. როგორც თავად ამბობს, მას დღემდე ურეკავენ და რუსეთის სხვადასხვა ქალაქში კონცერტების გამართვას სთხოვენ, თუმცა იუბილარი თავის გადაწყვეტილებას არ ცვლის.

ბოლო პერიოდში ხელოვანს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები აღმოაჩნდა – თირკმლის უკმარისობის გამო დიალიზზე სიარული უწევს, თუმცა დაგეგმილ ღონისძიებებზე მაინც არ ამბობს უარს და, რუსეთის გარდა, ყველა მიწვევას სთანხმდება.

ბუბა კიკაბიძისთვის მთავარი ჯილდო და საჩუქარი იმ ათასობით მაყურებლის სიყვარულია, რომელსაც მუდმივად გრძნობს.

მერაბ კოკოჩაშვილს ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს



რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს ექიმებმა მსხვილი ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნე დაუდგინეს. ხელოვანმა ფრიდონ თოდუას სამედიცინო ცენტრს მიმართა. ექიმ ლაშა თურქიაშვილის წყალობით რეჟისორი თავს კარგად გრძნობს:

– ჩემი დიაგნოზი მსხვილი ნაწლავის ავთვისებიანი სიმსივნე გახლდათ. ჩემი ექიმი, ლაშა თურქიაშვილი, მშვიდად, გულახდილად და ჩემთვის გასაგებ ენაზე მიხსნიდა ყველაფერს, შეხვედრის შემდეგ თავი უკვე უკეთ ვიგრძენი. გარდა იმისა, რომ საოცარი ოსტატია, არაჩვეულებრივი ადამიანიც გახლავთ, რომელმაც დამიხატა კიდეც ყველა დეტალი, მისი გეგმა, რასაც აპირებდა ოპერაციაზე. ისე ჩაიარა ყველაფერმა, თითქოს არაფერი მომხდარა, განვაგრძობ ცხოვრებას ჩვეულ რეჟიმში.

მე კარგად ვიცნობდი ფრიდონ თოდუას – მან შექმნა არაჩვეულებრივი სამედიცინო ცენტრი. ეს ღირებულებები და გარემო კი კვლავ შეუცვლელია, პაციენტსა და ექიმს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა იბადება, რომელიც დამყარებულია ცოდნაზე, პროფესიონალიზმზე, ადამიანურ ფასეულობებზე.

ძალიან დიდ მადლობას ვუხდი ბატონ ლაშასა და მთელ სამედიცინო ცენტრს!

გიორგი სუხიტაშვილი ახალ სიმღერას წერს

მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი „ბრავო რეკორდსში“ ახალ სიმღერას წერს.

მომღერალი მუშაობს კომპოზიტორ მაცაცო სებისკვერაძის სიმღერაზე, რომელიც პოეტ რატი ამაღლობელის ლექსზე შეიქმნა:

– მცირე დრო დარჩა სიმღერისა და მასზე შექმნილი ვიდეოს დასრულებამდე. ასეთი მოლოდინი იშვიათად მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ მაცაცო სებისკვერაძეს, რატი ამაღლობელს, „ბრავო რეკორდსსა“ და განსაკუთრებული მადლობა დავით გერსამიას!

გიორგი კეკელიძეს ოლგა ჰამერ დურაკოვამ ფეისბუქი გაუტეხა



მწერალსა და პოეტ გიორგი კეკელიძეს ოლგა ჰამერ დურაკოვამ ფეისბუქი გაუტეხა:

– აღმოვაჩინეთ, რომ ჩვენს გვერდზე წვდომის უფლება აღარ გვქონდა. მისი მფლობელი გახდა, არც მეტი, არც ნაკლები – ოლგა ჰამერ დურაკოვა – რუსული შრიფტითა და ფოტოზე ცინიკური ღიმილით.

არ იყო ადვილი ეს საქმე – უპირველეს ყოვლისა, თქვენ გამო არ იყო. მით უფრო, რომ ოლგამ და მერე მისმა ადგილმონაცვლემ წაშალეს თითქმის ყველაფერი და შეცვალეს გვერდის სახელი. ჰოდა, ის ყველაფერი – ან თქვენთვის იყო, ან თქვენი მონაწილეობით – წიგნები, ბიბლიოთეკები, სოფლები, ქალაქები, ადამიანები. ჩვენ განათლების გავრცელებას ვცდილობდით და, მგონი, გამოგვდიოდა. ყველა ის ფოტო და ამბავი, რაც აქ იდო, უამრავ განცდას გულისხმობდა და, მერწმუნეთ, აწიც იგულისხმებს, კიდევ უფრო მძლავრად და კიდევ უფრო ბევრი თანამოაზრით. არ მინდა, მღელვარე და პათეტიკური გზავნილი გამომივიდეს. არ მინდა იმიტომ, რომ გვერდის გატეხა არ უნდა იყოს მნიშვნელოვანი ამბავი, როცა თანამოქალაქეები პანდემიასა თუ მის ნაკვალევზე დარდობენ, სადაც უდანაშაულო ბიჭის მხეცურად მოკვლის საქმეს ვარკვევთ ჯერაც. ამიტომაც არ მივეცი არც ერთი ინტერვიუ – არც ტელე და არც ინტერნეტ მედიას. თუმცა ფიქრად კი ნამდვილად ღირს. ფიქრად მტრებზე და მადლობად თქვენთვის. ვიცი, არ გაგიხარდათ და მადლობა ამისთვის. მადლობა იმისთვის, რომ მაგულიანებთ და მეხმარებით.

უცნაური კია – დღეს ჩემი ახალი წიგნი გამოდის. ბოლო წიგნი „გურული დღიურების“ სერიიდან. და მერე ლიტერატურაში გზა მინდა გავიფართოო. ეტყობა, აქაც ეგ მომიწევს, რომ უფრო მეტი დავეტიოთ ჩვენი რთული და საყვარელი სამშობლოსთვის.

სპეციალური მადლობა ნინა ნუცუბიძეს, შსს კიბერუსაფრთხოების თანამშრომელს, ლევან დიდებულიძესა და ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომელ ბექა ღაჟონიას 24-საათიანი დაუღალავი შრომისთვის. მე დავბრუნდი!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხვოხდი ა



შვეულად: 1. ქამრის ლითონისენიანი შესაკრავი; 2. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 3. ხელოვნურად მიღებული რადიოაქტიური ქიმიური ელემენტი; 4. სათბურში გამოყვანილი ბოსტნეულის ნერგი; 5. ღვარძლიანი დაცინვა, მწვავე ირონია; 7. ადამიანის გარემომცველი ბიოველი; 11. საეკლესიო საგალობელი; 13. მოლაპარაკე ფრინველი; 15. ძვირფასი სარეწაო თევზი; 16. სამეჯლისო ცეკვა; 18. ისტორიული ქალაქი აზიაში, სადაც გაიმართა პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება; 19. ოპტიკური მინა.

თარაზულად: 6. ტკბილი კარტოფილი; 8. პოპულარული ნილოსისპირა კურორტი ეგვიპტეში; 9. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 10. მდგომარეობა კრივში; 12. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 14. ირანის ძველი დედაქალაქი; 17. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცული ლუკას კრანახის ფერწერული ტილო; 20. შტატი აშშ-ში; 21. სივრცე სახლის სახურავსა და ჭერს შორის; 22. ვულკანიდან მაგმის ამოფრქვევის პროცესი; 23. სასტუმრო თბილისში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა